პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი
№ 65 (10151)

პარასკევი, 18 მარტი, 1955 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).

პროპაგანდისტთა დასახმარებლად. — ა. ხელაშვილი. — ვ. ი. ლენინი სახელმწიფოს შესახებ (მე-2 გვერდი).

მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩავატაროთ საგაზაფხულო სამუშაოები! — მ. ხეთაგური. — არ შევურიგდეთ ნაკლოვანებებს. ვ. ცირეკიძე. — გარდატეხა არ იგრძნობა (მე-2 გვერდი).

„კომუნისტის“ მკითხველთა კრება საზამთრო საძოვრებზე (მე-2 გვერდი).

წერილები რედაქციას (მე-3 გვერდი).

გ. ხეჩუაშვილი. — კოლმეურნე მსახიობები (მე-3 გვერდი).

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. — ფ. ბასილაია. — მოგონებანი ლევ ტოლსტოიზე (მე-3 გვერდი).

ვ. ჩიჩკოვი. — იმპერიალისტური სახელმწიფოების ბრძოლა ლათინური ამერიკის ქვეყნებში (მე-3 გვერდი).

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის მეექვსე სესია (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

განუხრელად განვახორციელოთ ამოცანები

მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოებისა და ადგილობრივი საბჭოების ახლახან ჩატარებულმა არჩევნებმა მთელი სისრულით გამოავლინა კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა, მშრომელთა უსაზღვრო ერთგულება და მტკიცე მხარდაჭერა პარტიისა და მთავრობის პოლიტიკისადმი, მათი მზადყოფნა — კვლავაც მთელი ძალები მოახმარონ დიადი მიზნის — კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებას, მშვიდობის შენარჩუნების, ხალხთა შორის თანამშრომლობისა და მეგობრობის განმტკიცების საქმეს.

როგორც ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, ისე საქართველოშიც მშრომელებმა ერთსულოვნად მისცეს ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის კანდიდატებს, რამაც ერთხელ კიდევ ცხადყო ამ ბლოკის სიცოცხლისუნარიანობა და ურღვევობა.

ახლადარჩეული დეპუტატები ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, საბჭოთა ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლები არიან. ამ ადამიანებმა მშრომელთა ესოდენ დიდი ნდობა კომუნისტური პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულებით, საბჭოთა სამშობლოს კეთილდღეობისათვის უანგარო შრომით დაიმსახურეს.

ჭიათურის მარგანეცის ტრესტის სტალინის სახელობის მაღაროს მნგრეველი ტრიფონ ფოფხაძე დაჯილდოებულია ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასის ყველა შესანიშნავი თვისებით: სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულით, შრომაში კეთილსინდისიერებით და წინასწარსადმი მუდმივი სწრაფვით, კოლექტივთან ურთიერთობაში თავმდაბლობითა და გულისხმიერებით, ახალგაზრდა მუშაკების დაოსტატებისათვის პასუხისმგებლობის გრძნობით. მაღაროში არ არსებობს ისეთი პროფესია, რომელსაც ტრიფონ ფოფხაძე არ ფლობდეს. საბელგანთქმული მნგრეველი შესანიშნავი მტვირთავი და მეხიგეც არის. მან საკუთარი ხუთწლიანი გეგმა სამ წელში შეასრულა და ახლა შემდგომი წლების ანგარიშში მუშაობს. ამიტომ იყო, რომ ჭიათურელმა მშრომელებმა ტრიფონ ფოფხაძე წელს მეოთხედ აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის მოწინავე მეხიგე ერმაგონ ცნობილაძე ტყიბულის მშრომელებმა წელს მეორეჯერ აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. ე. ცნობილაძე ტყიბულში განთქმულია როგორც პროგრესული მეთოდების დანერგვისათვის აქტიური მებრძოლი. იგი სხვა მოწინავე მეშახტეებთან ერთად ავტორია ნოვატორული წინადადებისა, რომლის წარმოებაში დანერგვამ მნიშვნელოვნად დააჩქარა ქვანახშირის ამოღება.

ხალხის რჩეულებმა თავიანთი სადეპუტატო მოღვაწეობა დაიწყეს ისეთი მომენტში, როცა მთელ ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებულია საყოველთაო-სახალხო ბრძოლა ხუთწლიანი გეგმის ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის, მძიმე მრეწველობის ახალი მძლავრი აღმავლობის საფუძველზე მთელი საბჭოთა ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების უზრუნველყოფისათვის.

ამ ამოცანების განხორციელებისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში სწორედ დეპუტატები — ხალხის ნდობითა და რწმუნებით აღჭურვილი ადამიანები უნდა იდგნენ. დეპუტატები თვალსაჩინოვით უნდა ფფრთხილდებოდნენ ამ ნდობას, სამშობლოსადმი, ხალხისადმი პატიოსანი და ერთგული სამსახურით ამართლებდნენ მას. განუზრელად ატარებდნენ ცხოვრებაში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას, რომელიც ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს გამოხატავს.

მშრომელები დეპუტატებს ავალებენ ყოველთვის იდგნენ თავიანთი საპატიო ამოცანების სიმაღლეზე, იყვნენ მართალნი და პატიოსანნი, კომუნიზმის საქმისათვის აქტიური მებრძოლნი. დეპუტატობის კანდიდატებთან შეხვედრების დროს, რომლებიც წინ უძღოდა არჩევნებს, ამომრჩევლებმა გამოამჟღავნეს საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, ილაპარაკეს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგებში ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი საკითხების შესახებ, მომავალ დეპუტატებს მისცეს განაწესი, რომლის განუხრელი შესრულებისათვის ბრძოლა თვითეული დეპუტატის სახელისა და ღირსების საქმეა. ამ განაწესში გამოხატულება ჰპოვა პარტიისა და მთავრობის მიერ ჩვენი ქვეყნის წინაშე დასახულმა კომუნისტური მშენებლობის საბრძოლო ამოცანებმა.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, რომელთა მოღვაწეობის უმაღლეს კანონს მშრომელთა კეთილდღეობისათვის ზრუნვა წარმოადგენს, ძირითად ამოცანად, როგორც ყოველთვის, აყენებენ მძიმე მრეწველობის — მთელი სოციალისტური ეკონომიკისა და ქვეყნის ურყევი თავდაცვისუნარიანობის საფუძველთა საფუძვლის — შეუნელებელ განვითარებას. დეპუტატების მოვალეობაა ხელი შეუწყონ მასების შემოქმედებითი აქტივობის განვითარებას, რათა წარმატებით სრულდებოდეს ჩვენი ქვეყნისათვის სასიცოცხლო ეს ამოცანა. ისინი განუწყვეტლივ უნდა ზრუნავდნენ საწარმოთა მოწინავე ადამიანების, ნოვატორების გამოცდილებისა და მეთოდების განზოგადებისა და პრაქტიკაში ფართოდ დანერგვისათვის, ყოველთვის იყვნენ ძველის, დრომოჭმულის, ყოველივე იმის წინააღმდეგ ბრძოლის პირველ რიგებში, რაც ამბრკოლებს ჩვენს წინსვლასა და განვითარებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა ჩვენი ხალხის წინაშე უდიდესი ამოცანები დასახა სოფლის მეურნეობის ყველა დარგში, კერძოდ მეცხოველეობაში ახალი მძლავრი აღმავლობის მისაღწევად. პლენუმის გადაწყვეტილების განხორციელებისათვის დაირაზმა საბჭოთა ხალხი. სერიოზული ამოცანების წინაშე დგანან ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, მათ უნდა უზრუნველყონ მეცხოველეობის განვითარების საქმეში არსებული სერიოზული ჩამორჩენის გამოსწორება და მიაღწონ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მძლავრ განვითარებას. ამ ამოცანების განსახორციელებლად საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა დარაზმვაში დიდი როლი უნდა შეასრულონ დეპუტატებმა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკთა შორის ზევრია მოწინავე ადამიანი, მაღალი მოსავლის ოსტატი. ამ ადამიანთა გამოცდილების პროპაგანდა, მუშაობის მათი მეთოდების პრაქტიკაში დანერგვა დიდად დაგვეხმარება სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში ახალ წარმატებათა მოპოვებაში. დეპუტატისათვის რა შეიძლება უფრო საპატიო იყოს, ვიდრე საკოლმეურნეო სოფლის ნოვატორთა გამოცდილების პოპულარიზაცია, ამ გამოცდილების გადაქცევა ყველას კუთვნილებად.

მშრომელთა მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის სისტემატური ზრუნვის საგანია. ამ მიზნისათვის ყველა საჭირო ღონისძიებანი ხორციელდება. მიუხედავად ამისა, ხშირად ადგილებზე, ცუდი მუშაობის შედეგად, გამოყენებული არ არის მშრომელთა მოთხოვნილებებისა და საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის შექმნილი მდიდარი შესაძლებლობანი და საშუალებანი. მშრომელები თავიანთ წერილებში, რომლებსაც ისინი სათანადო ორგანოებს, აგრეთვე დეპუტატებს უგზავნიან, ამხილებენ ამ დარგში არსებულ ნაკლოვანებებსა და დამახინჯებებს. არც ერთი შენიშვნა, განცხადება თუ სიჩივარი დეპუტატმა უყურადღებოდ არ უნდა დატოვოს, ყოველი ღონისძიებით უნდა შეუწყოს ხელი იმას, რომ რაც შეიძლება უკეთესად კმაყოფილდებოდეს მშრომელთა გაზრდილი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებანი. დეპუტატმა მხურვალედ უნდა დაუჭიროს მხარი მშრომელების — ამომრჩევლების ყოველ ახალ საყურადღებო წამოწყებასა და თაოსნობას, რომლის ბოლომდე მიყვანა კიდევ უფრო მიმზიდველსა და ლამაზს გახდის ჩვენს საბჭოთა სინამდვილეს.

დეპუტატი არასოდეს არ უნდა ივიწყებდეს, რომ იგი ხალხის მსახური, მისი ნებასურვილის აღმსრულებელია, და თავის მოღვაწეობაში წარმატებას მიაღწევს მხოლოდ ამომრჩეველებთან ყოველდღიური, მჭიდრო კავშირით, მათი განაწესის განუხრელი შესრულებით.

ვეშაპთსანადირო ფლოტილია „სლავამ“ ვადამდე შეასრულა სარეისო გეგმა

ვეშაპთსანადირო ფლოტილია „სლავამ“ ვადამდე, 15 მარტს შეასრულა სარეისო გეგმა. მიუხედავად რთული ჰიდრომეტეოროლოგიური და სარეწაო პირობებისა, ვეშაპთმონადირეებმა წარმატებით შეასრულეს მათთვის დასახული ამოცანები.

სსრ კავშირის თევზის მრეწველობის მინისტრმა ამხ. იშკოვმა ფლოტილიის კოლექტივს გაუგზავნა რადიოგრამა, რომლითაც მიულოცა მათ მიღწეული წარმატება. (საკდესი).

საბჭოთა საქართველოს დღე

★

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სოხუმი. (საკ. კორ.). აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სახალხო ჯანმრთელობის დაცვის დარგში განსაკუთრებული დამსახურებისათვის აფხაზეთის 22 ექიმს მიენიჭა აფხაზეთის ასსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდება. მათ შორის არიან მ. გ. ახალაია — რკინიგზის სოხუმის განყოფილების საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგე, ა. ლ. გრიგოლია — საქართველოს სსრ კურორტოლოგიის ინსტიტუტის აფხაზეთის ფილიალის დირექტორი, ი. ს. ელიგულაშვილი — აფხაზეთის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი მეანი-გინეკოლოგი, ი. ი. ლობანოვი — სოხუმის საზღვაო ნავსადგურის სახაზო საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების მთავარი ექიმი, თ. მ. მკერვალიშვილი — ქ. გალის სამშობიაროო სახლის მთავარი ექიმი, გ. ნ. ემუხვარი — სოხუმის მეორე საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების ქირურგიული განყოფილების გამგე.

• • •

თეატრალური ხელოვნების დარგში განსაკუთრებული დამსახურებისა და ხანგრძლივი მუშაობისათვის სოხუმის სახელმწიფო თეატრისა და აფხაზეთის ასსრ ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობებს მიენიჭათ საპატიო წოდებანი.

აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტის წოდება მიენიჭა მსახიობს ე. ზ. შაკირბაიას, აფხაზეთის ასსრ დამსახურებული არტისტისა — მსახიობებს: ვ. ქ. დბარს, მ. კ. კასლანდიას, ი. კ. კალანდაძეს, ო. ლ. კობერიძეს, ჯ. თ. მიქვაბიას, ა. უ. მიქავას, ვ. ვ. ნეფარიძეს, ფ. ბ. შადანიას.

სახვითი ხელოვნების დარგში მიღწეული წარმატებისათვის აფხაზეთის ასსრ ჩელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიენიჭათ ნ. ო. თაბუკაშვილს, ი. პ. ცომაიას, ვ. ი. შჩეგლოვს.

მხატვრული თვითმოქმედების განვითარების დარგში განსაკუთრებული დამსახურებისა და ხანგრძლივი მუშაობისათვის აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიენიჭათ ა. ნ. მარლანიას — აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიის დირექტორს, ა. ზ. ხარებავას — გალის რაიონის კულტურის სახლის ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელს, ა. ჩ. ჩიჩბას — გუდაუთის რაიონის კულტურის სახლის ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელს.

კურორტოლოგ ექიმთა სამეცნიერო კონფერენცია

ბორჯომი. (საკ. კორ.). საკავშირო პროფსაბჭოს ბორჯომ-ლიკანის სანატორიუმში გაიმართა საკავშირო პროფსაბჭოს საქართველოს რესპუბლიკის სანატორიუმების ექიმთა მეექვსე სამეცნიერო კონფერენცია, რომელსაც 200-მდე სპეციალისტი დაესწრო. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს მოსკოვის, უკრაინის საკურორტო სამმართველოების ექიმებმა, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტოლოგიის ინსტიტუტისა და თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორებმა და დოცენტებმა, აფხაზეთისა და აჭარის საკურორტო სამმართველოების ექიმებმა.

კონფერენციაზე მოსმენილ იქნა 24 სამეცნიერო მოხსენება, რომლებიც წაიკითხეს პროფესორებმა ვ. ანდღულაძემ, ა. ბაკურაძემ, მეცნიერების კანდიდატებმა შ. გუგეშაშვილმა, ა. ჩხიკვიშვილმა, ექიმებმა თ. გოდერძიშვილმა, ვ. ვარდიაშვილმა და სხვ.

კონფერენციამ დასახა ღონისძიებანი აკადემყოფ-დამსვენებელთა მკურნალობისა და მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

★ ★ ★

გზა მშვიდობისა, მეგობრებო!

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲤᲝᲤᲮᲐᲫᲔ.

მშობლიური კომუნისტური პარტიის მოწოდების პასუხად მრავალი ჭაბუკი და ქალიშვილი მიემგზავრება ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონებში სამუშაოდ. ისინი გმირული შრომით სახეს უცვლიან უკაცრიელ სივრცეებს, თავდადებით იბრძვიან ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, ბედნიერებისა და მშვიდობისათვის.

აი, დღეს ხალამოსაც კომკავშირული საგზურით აყაზეთისკენ სახარულით მიემგზავრება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ტუბერკულოზის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ექთანი ნაზი ბრეგვაძე. მასთან ერთად მიდის მისი მეუღლე ვახტანგ გრიგოლავა. ეს ახალგაზრდები იმუშავებენ საბჭოთა მეურნეობა „ჯამბულში“. ახალგაზრდა პატრიოტმა ნ. ბრეგვაძემ განაცხადა:

— კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ჩვენს ხალხს დაუსახეს ამოცანა: უახლოეს ორ წელიწადში აითვისოს 28-30 მილიონი ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწა. მე და ჩემს მეუღლეს გადაწყვეტილი გვაქვს ჩვენი წვლილი შევიტანოთ ამ დიდ საერთო-სახალხო საქმეში!

გზა მშვიდობისა, მეგობრებო!

სურათზე: ვ. გრიგოლავა და ნ. ბრეგვაძე.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

შეძლებული ცხოვრების გზაზე

სილნაღი. (საკ. კორ.). საკოლმეურნეო დოვლათის ზრდასთან ერთად მატულობს კოლმეურნეთა შემოსავალიც, მრავლდება შეძლებულ ოჯახთა რიცხვი. სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებში წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა შრომადღეების ღირებულება. სოფელ ანაგის მალეტკოვის სახელობის კოლმეურნეობის მევენახეობის ბრიგადირმა შ. უზუნაშვილმა შარშან 26 ჰექტარი მსხმოიარე ვენახიდან ჰექტარზე 52 ცენტნერის ნაცვლად 85 ცენტნერი ყურძენი მიიღო. ბრიგადის შემოსავალი მარტო ყურძნიდან 1 მილიონ 100 ათასი მანეთამდე გაიზარდა. ყურძნის მაღალი მოსავლის მიდებისათვის ბრიგადის წევრებს 500-მდე შრომადღე დაერიცხათ ჯილდო-წანამატის სახით.

მწყემსი მ. ბიკაშვილი მრავალი წელია სოფელ ბოდბისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მუშაობს. აქ მას იცნობენ, როგორც კვიცების საუკეთესო მომვლელს, მუყაით და შრომისმოყვარე ადამიანს. მან კვიცების გაზრდის 1954 წლის დავალება გადაჭარბებით შეასრულა. საკოლმეურნეო შრომის აქტიური მონაწილენი არიან მისი მეუღლე ივლიტე და უფროსი შვილი გიორგი, რომელნიც მეძინდვრეობის ბრიგადაში მუშაობენ. ბიკაშვილის ოჯახმა შარშან 2.000-ზე მეტი შრომადღე გამოიმუშავა და 60 ათასი მანეთის ღირებულების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები მიიღო.

ჰექტარზე 70-80 ცენტნერი სიმინდისათვის

ხობი. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). საგაზაფხულო თესვისათვის წარმატებით ემზადებიან სოფლები: ხობის, ხორგის, ქვალონის, ახალხიბულის კოლმეურნეობები. მზად აქვთ თესლი, მალე დაამთავრებენ საგაზაფხულო ხვნას, წესრიგზეა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები. ამ კოლმეურნეობებში წელს მრავალი ათეული ჰექტარი ყამირი მიწა აითვისეს, მასზე დაითესება სიმინდი.

ახალხიბულის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში აფართოებენ პირუტყვის საკვებ ბაზას. სიმინდს სოიის შერევით დათესავენ 45 ჰექტარზე, სხვა საკვებ კულტურებს კი 55 ჰექტარზე. გათვალისწინებულია მარტო ძირხვენებისაგან წელს დაამზადონ 600 ცენტნერი საკვები. აქაურმა მეცხოველეებმა ვალდებულება იკისრეს ასსულ ძროხაზე მიიღონ და გაზარდონ სულ მცირე 85 ხბო, თვითეულ დედაღორზე — 14 გოჭი, სახელმწიფოსათვის ჩასაბარებლად გაასუქონ 25 ღორი.

კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს წელს გაამენონ ორი ჰექტარი ხოსტანი. შექმნილია მებოსტნეობის რგოლი, რომელსაც ავროტექნიკოსი ამხ. ჯანაშია ხელმძღვანელობს. გათვალისწინებულია კოლმეურნეობამ მებოსტნეობიდან მიიღოს 100.000 მანეთი შემოსავალი.

სიმინდის უხვი მოსავლის მიღებისათვის ენერგიულად შრომობენ მოწინავე კოლმეურნეები ც. ყვირკვაია, ე. ლომაია, ფ. ბასილაია, ვ. ადამია, გ. შონია, ი. ჯანჯღავა, პ. კაკაშვილი, დ. კიტია და სხვები. თვითეული მათგანის ვალდებულებაა წელს ჰექტარზე მოიყვანონ 70-80 ცენტნერი სიმინდი.

პროდუქტიულობა გაადიდეს

ბოლნისი. (საკ. კორ.). პირუტყვის კარგი მოვლა-პატრონობის შედეგად რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში გაადიდეს წველადობა.

ამ მხრივ კარგ შედეგებს მიაღწია სოფელ მუსოფრიანის კომკავშირის სახელობის კოლმეურნეობამ, რომელმაც 1 მარტისათვის თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიიღო 278 ლიტრი რძე. შარშან ამავე პერიოდისათვის მოწველილი იყო მხოლოდ 108 ლიტრი რძე. კარგი წარმატება აქვს სოფელ ტანძიის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას.



ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. შუშის ტარის ქარხნის საერთო ხედი.

ფოტო პ. ლუცენკოსი.

ექსკურსიები 1905 წლის რევოლუციური ამბების ადგილებში

ბორჯომი, 16 მარტი. (საკდესი). რუსეთის პირველი რევოლუციის 50 წლისთავთან დაკავშირებით მშრომელთა ჯგუფები საკავშირო პროფსაბჭოს საექსკურსიო ბაზის საგზურებით ათვალიერებენ სამახსოვრო ადგილებს, რომლებიც დაკავშირებულია 1905 წლის ამბებთან.

სახალხო სახლი, რომელიც ახლა გადაკეთებულია ა. ს. პუშკინის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრად, 1903 წელს აშენდა ა. მ. გორკის ინიციატივით. 1905 წლის რევოლუციის დღეებში ეს სახლი იყო ხალხმრავალი მიტინგების ცენტრი, აქ ადგენდნენ მებრძოლ რაზმებს, აქ იყო სდმპ ნიჟნი ნოვგოროდის კომიტეტის ოპერატიული შტაბი.

სახალხო სახლის ცოტა მოშორებით ოსტროგის მოედანზე (ახლა თავისუფლების მოედანი) სასხლიანი კვირის ნახევარი წლის შემდეგ გაიმართა მუშათა და რევოლუციონერი ინტელიგენციის მიტინგი. ამ მიტინგზე მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა ი. მ. სვერდლოვმა. მოედანზე შემოიჭრნენ კაზაკები მათრახებითა და შუბებით, ხოლო შემდეგ შავრაზმელთა ხანდები, რომლებმაც მიტინგის მონაწილეებს სასტიკად სცემეს და ხევრი დახოცეს. ახლა ამ ადგილას აღმართულია 1905 წლის რევოლუციის მსხვერპლთა გრანიტის ძეგლი.

№ 82 საშუალო სკოლის შენობა სორმოვოს რაიონში 1905 წლის დეკემბერში სორმოველ პროლეტართა შეიარაღებული აჯანყების ცენტრი იყო. მის კედლებს დღესაც კი აჩნია მეფის არტილერიის ნაყუმბარები.

მარცვლეულის ახალ საბჭოთა მეურნეობებში

სამხრეთ ყაზახეთში თბილი ამინდია. მარცვლეულის ახალი საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც აქ შარშან შემოდგომაზე მოეწყო, შეუდგნენ საადრეო თავთავიანი კულტურების თესვას.

ასრულებს რა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს ყამირი და ნასვენი მიწების შემდგომი ათვისების შესახებ, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ, შარშან გაზაფხულზე შექმნილი 124 საბჭოთა მეურნეობის გარდა, მოაწყო კიდევ მარცვლეულის 297 ახალი საბჭოთა მეურნეობა: 250 ყაზახეთში და 47 რუსეთის ფედერაციაში. ახალ საბჭოთა მეურნეობებს მიეცათ ექვს მილიონ ჰექტარზე მეტი სახნავად გამოსადეგი მიწა, დადგენილია ცენტრალური კარმიდამოების ადგილმდებარეობა.

ყველა მეურნეობაში შერჩეული არიან დირექტორები და სპეციალისტები. აქ უკვე გაგზავნა 10 ათასზე მეტი მექანიზატორი, რომლებიც ახლა ემზადებიან თესვისათვის და მუშაობენ ადგილობრივი საშენი მასალების დამზადებაზე. შრომითი რეზერვების სისტემის მექანიზაციის სასწავლებლები 53 ათას ტრაქტორისტსა და კომბაინერს უმზადებენ მათ.

მიმდინარე გაზაფხულზე ახალმა საბჭოთა მეურნეობებმა უმთავრესად ხორბალი უნდა დათესონ ოთხ მილიონამდე ჰექტარზე. ამ მეურნეობებმა, რომლებიც ამ ცოტა ხნის წინათ მოეწყო, აგრეთვე უნდა მოხნან ოთხ მილიონ ჰექტარამდე ყამირი და ნასვენი მიწა. ახალ მეურნეობებში ფართოდ გამოიყენებენ მიწის დამუშავების სისტემას, რომელიც ტ. ს. მალცევმა შეიმოიღო. (საკდესი).

ხელოვნების მუშაკთა ცენტრალური სახლი — საბჭოთა პოლარელებს

16 მარტს დილით მოსკოვის ახლო აეროდრომიდან შორ რეისში საბჭოთა პოლარელებთან გაემგზავრა სპეციალური თვითმფრინავი. ამჯერად თვითმფრინავზე უჩვეულო მგზავრები არიან — დედაქალაქის თეატრების მსახიობები. ზევრ მათგანს ჩრდილოეთის მცხოვრებნი იცნობენ მოსკოვიდან რადიოთი გადაცემული კონცერტების მიხედვით.

იმ შემოქმედებითი ბრიგადის შემადგენლობაში, რომელიც ხელოვნების მუშაკთა ცენტრალურმა სახლმა შეადგინა, არიან სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის სოლისტი, რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვერა დულოვა, რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტები რინა ზელიონაია, პ. ჩეკინი, ბელორუსიის სსრ დამსახურებული არტისტი ა. შაპსი, მსახიობები ნ. ნელინა, ა. სმეტანკინა, ა. გონჩაროვი, რ. ალაჩოვა, მ. პტიცინი, ლ. ჩორნი, ნ. შირაი. კონფერანსიე — ბ. ბრუნოვი. ბრიგადას ხელმძღვანელობს ხელოვნების მუშაკთა ცენტრალური სახლის დირექტორის მოადგილე მ. შაპირო.

მსახიობები ამიერპოლარეთის რაიონებში ერთ თვეს დარჩებიან, გამართავენ კონცერტებს, წაიკითხავენ ლექციებს ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, დახმარებას გაუწევენ მხატვრულ თვითმოქმედებას. (საკდესი).

ვ. ი. ლენინი სახელმწიფოს შესახებ

პროპაგანდისტთა დასახმარებლად

კაცობრიობის უდიდესმა მოაზროვნეებმა, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადებმა მარქსმა და ენგელსმა, აღმოაჩინეს რა საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონები, მეცნიერულად დაასაბუთეს კაპიტალიზმიდან სოციალიზმში რევოლუციური გადასვლის გარდუვალობა. მათ გამოარკვიეს, რომ კაპიტალიზმის მოსპობასა და კომუნისტური საზოგადოების აშენებაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნის ყველაზე რევოლუციურ კლასს — პროლეტარიატს, პროლეტარიატის დიქტატურას, ახალი ტიპის სახელმწიფოს.

განაზოგადა რა მსოფლიო მუშათა მოძრაობის გამოცდილება, განსაკუთრებით რუსეთის მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის უმდიდრესი გამოცდილება, ლენინმა არა მარტო დაიცვა მარქსისტული მოძღვრება სახელმწიფოსა და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ ოპორტუნისტული და ანარქისტული დამახინჯებებისაგან, არამედ ამასთან ერთად ეს მოძღვრება გაამდიდრა ახალი დებულებებით, განავითარა და ახალ საფეხურზე აყვანა იგი.

ვ. ი. ლენინი პარტიას ასწავლიდა ყოველი ღონისძიებით განამტკიცოს საბჭოთა სახელმწიფო, პროლეტარიატის დიქტატურა, განამტკიცოს მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კავშირი, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის უმაღლესი პრინციპი. კომუნისტური პარტია განუხრელად ატარებს ცხოვრებაში ლენინის ამ ბრძნულ მითითებებს.

ახლა, როცა საბჭოთა ხალხი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებითა და პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის შემდგომი დადგენილებებით შეიარაღებული, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით ახორციელებს სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლას, სახელმწიფოს შესახებ მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლასა და ყოველმხრივ გაშუქებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. სახელმწიფოს შესახებ მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისთვისაც, ვინაიდან სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელები კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელობით ახალი — სახალხო დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში იყენებენ სსრ კავშირში სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის მდიდარ გამოცდილებას. აღნიშნული საკითხის შესწავლას აგრეთვე უდიდესი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ბურჟუაზიული იდეოლოგებისა და ყველა ჯურის ოპორტუნისტების წინააღმდეგ ბრძოლაში.

* * *

მარქსი და ენგელსი ჯერ კიდევ „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ აღნიშნავდნენ, რომ თუ პროლეტარიატმა პოლიტიკური ძალაუფლება არ დაიპყრო და თავისი სახელმწიფო არ შექმნა, მაშინ იგი ვერ შეასრულებს ექსპლოატაციის უღლისაგან მშრომელთა განთავისუფლების თავის ისტორიულ მისიას, ვერ შეასრულებს კაპიტალიზმის მესაფლავის როლს, ვერ აამენებს სოციალიზმს.

როგორი უნდა იყოს პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმა? რით უნდა შეიცვალოს ძველი, ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანა? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად ბურჟუაზიული რევოლუციების გამოცდილება ჯერ კიდევ ვერ იძლეოდა სათანადო მასალას. ეს მასალა შემდგომში მოგვცა პარიზის კომუნამ.

პარიზის კომუნის გამოცდილებიდან მარქსი და ენგელსი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ პროლეტარიატის განთავისუფლებისათვის საჭიროა არა მარტო ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის დამსხვრევა, არამედ მისი შეცვლაც პროლეტარიატის დიქტატურით. დიქტატურა მუშათა კლასს ესაჭიროება ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგობის დასაძლევად და კომუნისტური საზოგადოების ასაშენებლად.

სახელმწიფოსა და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ მარქსისტული თეორიის ყოველმხრივი დასაბუთება და შემდგომი განვითარება ეკუთვნით დიდ ლენინს და მისი უკვდავი საქმის განმგრძობს ი. ბ. სტალინს.

ლენინური მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ მარქსიზმის შემოქმედებითი განვითარების ნიმუშია.

ვ. ი. ლენინმა ცხადყო იმპერიალიზმის, კაპიტალიზმის უკანასკნელი და უმაღლესი სტადიის არსი. ლენინმა გვიჩვენა, რომ იმპერიალიზმის დროს ბურჟუაზიული საზოგადოების ყველა წინააღმდეგობა უკიდურესამდე აღწევს, რომ ეს წინააღმდეგობანი შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ რევოლუციის გზით. მან გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა „ულტრა-იმპერიალიზმის“, „ორგანიზებული კაპიტალიზმის“ ოპორტუნისტულ თეორიებს. ლენინმა დაამტკიცა, რომ მონოპოლისტური კაპიტალიზმის არსებობა მოწმობს არა კაპიტალიზმის ორგანიზებულობას, არამედ, პირიქით, იგი მოწმობს იმას, რომ კაპიტალიზმი მომწიფდა და გადაშენებისა, რომ დადგა პროლეტარული რევოლუციების პერიოდი.

აღმოაჩინა რა კაპიტალიზმის ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობის კანონი, ლენინმა დაამტკიცა, რომ ეს უთანაბრობა აძლიერებს მშრომელი მასების ექსპლოატაციასა და გაღატაკებას, იწვევს ჩაგრულთა შემდგომ აღშფოთებას, აღრმავებს წინააღმდეგობებს იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის, აძლიერებს კოლონიური ქვეყნების ხალხთა ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ, წარმოშობს იმპერიალისტურ ომებს, რაც საბოლოო ანგარიშით ასუსტებს იმპერიალიზმს და ყველა პირობას ქმნის იმპერიალიზმის ფრონტის გასარღვევად მის ყველაზე უფრო სუსტ რგოლში. „აქედან გამომდინარეობს, რომ სოციალიზმის გამარჯვება თავდაპირველად შესაძლოა რამდენიმე ანდა თუნდაც ერთ, ცალკე აღებულ, კაპიტალისტურ ქვეყანაში“. (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 21, გვ. 417).

შემდგომმა ამბებმა, რომლებსაც მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდათ, დაადასტურეს ლენინის თეორიულ დებულებათა სამართლე.

რუსეთში და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში მომწიფებულმა რევოლუციამ მთელი სიმწვავით დააყენა საკითხი ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანისადმი მუშათა კლასის დამოკიდებულებისა და სახელმწიფო ხელისუფლების ახალი ფორმის შესახებ. მარქსისტების წინაშე დაისვა უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ამოცანა — მარქსისა და ენგელსის ძირითად დებულებათა დაცვა და შემდგომი განვითარება ყველა ჯურის ოპორტუნისტების წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლის პირობებში.

ეს ამოცანა წარმატებით შეასრულა კომუნისტური პარტიის განნალურმა ბელადმა ვ. ი. ლენინმა. იცავდა და შემდგომ ავითარებდა რა მარქსისტულ დებულებას იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ჩაგრული მასების ექსპლოატაციის იარაღია, ლენინმა მოგვცა ბურჟუაზიული სახელმწიფოს ყოველმხრივი კრიტიკა. მან დაამტკიცა, რომ იმპერიალიზმის ეპოქაში მშრომელი მასების ეკონომიური ჩაგვრის გაძლიერებასთან ერთად ძლიერდება მათი პოლიტიკური ჩაგვრაც და რომ მონოპოლისტური კაპიტალიზმის ბატონობის პერიოდში ბურჟუაზიული სახელმწიფო სულ უფრო და უფრო რეაქციულ, მჩაგვრელ ხასიათს იღებს.

ლენინმა გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა ოპორტუნისტებს — კაუცკისა და კომპანიას — ეგრეთწოდებული „წმინდა“ დემოკრატიის დამცველებსა და პროპაგანდისტებს. ლენინი აღნიშნავდა, რომ ლაპარაკი „წმინდა“ დემოკრატიაზე, თავისუფლებასა და თანასწორუფლებიანობაზე კაპიტალიზმის პირობებში, როცა წარმოების საშუალებანი და სახელმწიფო ძალაუფლება ექსპლოატატორების ხელშია, როცა მუშები კაპიტალის დაქირავებული მონები არიან, როცა მასებზე იდეოლოგიური ზეგავლენის ყველა საშუალება (რადიო, პრესა, კინო, თეატრები, სკოლა და სხვ.) თავმოყრილია ბურჟუაზიის ხელში, ნიშნავს საღი გონების, ისტორიის სინამდვილის და უწინარეს ყოვლისა ექსპლოატირებულთა აზრად აგდებას, რადგან კაპიტალიზმის დროს „თავისუფლებასა“ და „თანასწორუფლებიანობაზე“ დემაგოგიური ლაპარაკის მიზანია კაპიტალიზმის შელამაზება და მუშათა კლასის დამონების დაფარვა.

ლენინმა ცხადყო, რომ იმპერიალისტური ბურჟუაზია, ესწრაფვის რა მაქსიმალური მოგების უზრუნველყოფას, ექსპლოატაციისა და კოლონიების შემდგომი გაფართოების გზით ცდილობს არარაობამდე დაიყვანოს ისედაც შეზღუდული ბურჟუაზიული დემოკრატია. ამისათვის იგი იყენებს თავის საჯარო ძალაუფლებას, შეიარაღებული ადამიანების რაზმებს, მუდმივ არმიას, პოლიციას და იძულების სხვა საშუალებებს. კაპიტალისტური საზოგადოების პირობებში, გამაკუთრებით იმპერიალიზმის ეპოქაში, ბურჟუაზიული სახელმწიფო სხვა არაფერია, თუ არა იარაღი მცირერიცხოვანი საფინანსო მაგნატების ხელში. ბურჟუაზიული მთავრობის, მთელი სახელმწიფო აპარატის საქმიანობას კონტროლს უწევენ უმსხვილესი მონოპოლისტები და თავიანთი ინტერესების მიხედვით წარმართავენ მას.

ამხილებდა რა ბურჟუაზიული სახელმწიფოს კლასობრივ არსს, ბურჟუაზიული დემოკრატიის სიყალბეს, ლენინმა დაიცვა და შემდგომ განავითარა მარქსისტული თეორია ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის დამსხვრევის შესახებ. ახალი, პროლეტარული სახელმწიფოს შექმნის საკითხს ლენინი უშუალოდ აკავშირებს ძველი, ბურჟუაზიული სახელმწიფოს დანგრევის ამოცანასთან. რამდენადაც პროლეტარიატი მიზნად ისახავს ყოველგვარი ექსპლოატაციის მოსპობას, პროლეტარული სახელმწიფო წარმოადგენს დიამეტრალურ წინააღმდეგობას ისტორიაში არსებული ყველა ტიპის სახელმწიფოს მიმართ, რომელთა მიზანი იყო და არის ექსპლოატაციის ერთი ფორმის მეორით შეცვლა.

ლენინს ქვა ქვაზე არ დაუტოვებია კაუცკიანური მსჯელობისაგან იმის შესახებ, რომ პროლეტარიატმა მშვიდობიანი გზით, პარლამენტში უმრავლესობის მოპოვების გზით, უნდა აიღოს ხელში სახელმწიფო ძალაუფლება. ვ. ი. ლენინი მედგარ ბრძოლას ეწეოდა აგრეთვე ანარქისტების წინააღმდეგ, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ მუშათა კლასი უნდა გამოვიდეს ყოველგვარი სახელმწიფოს, მათ შორის აგრეთვე პროლეტარული სახელმწიფოს წინააღმდეგ. იცავდა რა მარქსისტულ თეორიას ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის დამსხვრევის აუცილებლობის შესახებ, ამით ლენინმა მუშათა კლასი შეაბარაღა ნათელი პერსპექტივით იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობის და უწინარეს ყოვლისა რუსეთის მუშათა კლასის ორი რევოლუციის ბრძოლის გამოცდილების განზოგადებით ლენინმა აღმოაჩინა საბჭოთა ხელისუფლება, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმა. მან ცხადყო საბჭოების უდიდესი ოპერატესობა ბურჟუაზიული სახელმწიფოს პარლამენტური ფორმის წინაშე. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საბჭოები პროლეტარიატის დიქტატურის საუკეთესო პოლიტიკური ფორმაა, რომ ისინი წარმოადგენენ ახალი ტიპის, ნამდვილად დემოკრატიულ სახელმწიფო აპარატს, მშრომელთა ყველაზე მასობრივ და მოქნილ ორგანიზაციას.

ლენინის მიერ საბჭოთა ხელისუფლების აღმოჩენა უდიდესი ნაბიჯი იყო პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ მარქსისტული თეორიის განვითარებაში.

ავითარებდა რა მარქსისტულ თეორიას პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, ვ. ი. ლენინმა შექმნა მთლიანი მოძღვრება მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შესახებ, ცხადყო ამ კავშირის ობიექტური საფუძველი, მისი განვითარებისა და განმტკიცების კანონზომიერება. ლენინმა გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა II ინტერნაციონალის ოპორტუნისტებს, ტროცკისტებს და სოციალისტური რევოლუციის სხვა მტრებს, რომლებიც ილაშქრებდნენ მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კლასობრივი კავშირის წინააღმდეგ.

თავის ცნობილ კოოპერაციულ გეგმაში ლენინმა შეიმუშავა სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის თეორია, განსაზღვრა სოციალიზმის მშენებლობაში გლეხობის ჩაბმის გზები.

ხელმძღვანელობს რა ვ. ი. ლენინის ბრძნული მითითებებით, კომუნისტური პარტია დაუცხრომლად იბრძვის იმისათვის, რომ კიდევ უფრო განამტკიცოს მუშათა კლასის კავშირი გლეხობასთან. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტის, ივნისისა და იანვრის პლენუმების გადაწყვეტილებებში დასახულია მძიმე ინდუსტრიის განუხრელი განვითარების ბაზაზე სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების გრანდიოზული პროგრამა, რომლის განხორციელება კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანს მუშათა კლასის კავშირს კოლმეურნე გლეხობასთან.

ლენინმა დაგვანახვა, რომ პროლეტარიატის დიქტატურა მისი სამი მხარის განუყრელი ერთიანობაა: 1) პროლეტარიატის დიქტატურა არის პროლეტარიატის ბატონობა ბურჟუაზიაზე, რაც შეზღუდული არ არის კანონით და ეყრდნობა უშუალოდ ძალადატანებას, ამასთან სარგებლობს მშრომელი და ექსპლოატირებული მასების ფართო მხარდაჭერით. 2) პროლეტარიატის დიქტატურის ისტორიული როლი მარტო ძალადატანებით არ განისაზღვრება. მისი ამოცანა ის არის, რომ ფართო ახსნა-განმარტებით საბოლოოდ ჩამოაშოროს მშრომელ გლეხთა მასები ბურჟუაზიას, დარაზმოს ისინი პროლეტარიატის გარშემო და ჩააბას კომუნიზმის მშენებლობაში. ამისათვის პროლეტარიატის დიქტატურამ ყოველი ღონისძიებით უნდა განამტკიცოს კავშირი მუშათა კლასსა და გლეხობას შორის, ამასთან ხელმძღვანელი როლი ამ კავშირში პროლეტარიატს უნდა ჰქონდეს. 3) პროლეტარული დიქტატურა როგორც კომუნიზმის აშენების იარაღი თავის ღონისძიებებს იმ მიმართულებით წარმართავს, რომ შეიქმნას კაპიტალიზმთან შედარებით უფრო მაღალი საზოგადოებრივი წარმოება. განაზოგადებდა რა ყველა ამ მხარეს, ლენინმა მოგვცა პროლეტარიატის დიქტატურის გენერალური ფორმულირება. „პროლეტარიატის დიქტატურა, — ამბობდა ლენინი, — არის შეუპოვარი ბრძოლა, სისხლისმღვრელი და უსისხლო, ძალადატანებითი და მშვიდობიანი, სამხედრო და სამეურნეო, პედაგოგიური და ადმინისტრატორული, ძველი საზოგადოების ძალებისა და ტრადიციების წინააღმდეგ“. (თხზ., ტ. 21, გვ. 35). ლენინი აღნიშნავდა, რომ დამხობილი ბურჟუაზია რევოლუციის გამარჯვების შემდეგ მთელი რიგი მიზეზების გამო მის დამამხობელ პროლეტარიატზე უფრო ძლიერი რჩება. იმისათვის, რომ დაძლეულიყო ექსპლოატატორული კლასების გაფთრებული წინააღმდეგობა, ლენინი მოითხოვდა საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ყოველმხრივ განმტკიცებას. ამასთანავე ლენინი მიგვითითებდა, რომ პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალას წარმოადგენს კომუნისტური პარტია.

ერთი პარტიის, სახელდობრ კომუნისტური პარტიის, განუყოფელი ხელმძღვანელობა, როგორც მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების მოპოვების, პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების, სოციალიზმისა და კომუნიზმის წარმატებითი მშენებლობის მთავარი პირობაა.

პარტია პროლეტარიატის საბრძოლო შტაბს წარმოადგენს. იგი სახელმწიფოებრივ ხელმძღვანელობას ახორციელებს „ამძრავი ღვედებისა“ და „ბერკეტების“ მეშვეობით, რომლებიც მას მშრომელთა მასებთან აკავშირებენ. ამ „ამძრავი ღვედებისა“ და „ბერკეტების“ რიცხვს ეკუთვნიან პროფკავშირები, საბჭოები. კოოპერაცია, ახალგაზრდობის კავშირი.

პროლეტარიატის დიქტატურის ძირითად შინაარსად ლენინს მიაჩნდა კომუნიზმის მშენებლობა, კომუნიზმი რომ ააშენო, საჭიროა შექმნა მისი მატერიალური ბაზა — კომუნიზმის ეკონომიკა.

საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ კანონებზე დაყრდნობით, სათავეში უდგას ხალხის მასების შემოქმედებითს ინიციატივას, ქმნის ახალ ეკონომიკას, გამოდის, როგორც სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენების მთავარი იარაღი.

ვ. ი. ლენინმა განსაზღვრა პროლეტარული სახელმწიფოს საბრძოლო ამოცანები და გვიჩვენა რა მისი ჩამოყალიბების გზები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მსვლელობაში, დასახა პროლეტარული სახელმწიფოს შემდგომი ყოველმხრივი განვითარების პერსპექტივები კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე მთელი გარდამავალი პერიოდისათვის.

ლენინი აღნიშნავდა, რომ სოციალიზმის აშენებისათვის საჭიროა რევოლუციის გზით განვახორციელოთ ძველი, ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის დამსხვრევა და შევქმნათ ახალი მძლავრი პროლეტარული სახელმწიფო. მას შემდეგ, რაც სახელმწიფოს დახმარებით აშენდება სოციალიზმი და შეიქმნება მატერიალური და სულიერი ბაზა იმისათვის, რომ განხორციელდეს კომუნისტური პრინციპი — „თვითეულისაგან მისი უნარის მიხედვით, თვითეულს — მისი მოთხოვნილების მიხედვით“, შეიქმნება ის პირობებიც, რომლის დროს სახელმწიფო და სამართალი ზედმეტი ხდება. იქმნება პირობები სახელმწიფოს კვდომისათვის.

კომუნიზმის დროს სახელმწიფოს ბედის განსაზღვრისას ლენინი გამოდიოდა უმთავრესად სახელმწიფო ხელისუფლების შინაგანი ფუნქციიდან, ძალების ფუნქციიდან. ამიტომ იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ კომუნიზმის დროს სახელმწიფო მოკვდება.

განაზოგადებდა რა სსრ კავშირში სოციალიზმის აშენების მდიდარ გამოცდილებას, ავითარებდა რა ლენინურ თეორიას ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ, ლენინს საქმის დიდი განმგრძობი ი. ბ. სტალინი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენება შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, თუ კაპიტალისტური გარემოცვა დარჩება. ი. ბ. სტალინის ეს დასკვნა მარქსიზმ-ლენინიზმის შემდგომი შემოქმედებითი განვითარებაა, იგი მუშათა კლასს და მის ავანგარდს — კომუნისტურ პარტიას აძლევს იდეიურ იარაღს, კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლის დიად პერსპექტივას.

დაამტკიცა რა ერთ ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვების შესაძლებლობა, ი. ბ. სტალინმა ამავე დროს მოგვცა მეცნიერულად დასაბუთებული პასუხი საკითხზე კომუნიზმის დროს სახელმწიფოს შემდგომი ბედის შესახებ.

ი. ბ. სტალინმა ყოველმხრივ დაგვანახვა საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ორგანიზატორული და წარმმართველი როლი. მან გააკრიტიკა სუბიექტივისტური შეცდომები საბჭოთა სახელმწიფოს საკითხში, საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონების გაგივიდა სახელმწიფოს იურიდიულ კანონებთან, შეცდომები, რომლებიც იმით გამოიხატა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს მიაწერდნენ საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონების შექმნას.

ხელმძღვანელობს რა მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებით, კომუნისტურმა პარტიამ შეიმუშავა პრაქტიკით შემოწმებული მეცნიერული პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს საბჭოთა ხალხის მიზნებსა და ამოცანებს კომუნიზმისათვის ბრძოლაში. პარტიის XIX ყრილობამ დასახა კომუნიზმისაკენ საბჭოთა ხალხის შემდგომი წინსვლის გზები. ყრილობამ საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე მთავარ ამოცანად დააყენა მთელი საზოგადოებრივი წარმოების, უმთავრესად წარმოების საშუალებათა წარმოების, ყოველი ღონისძიებით განვითარება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტის, ივნისისა და იანვრის პლენუმების დადგენილებებში, პარტიისა და მთავრობის შემდგომ გადაწყვეტილებებში დასახულია ჩვენი ქვეყნის განვითარების პროგრამა. მთავარი ამოცანა, რომელსაც ახლა პარტია მთელ თავის ძალებს ახმარს, არის საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცება, ჩვენი ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობისა და ურყევი თავდაცვისუნარიანობის მტკიცე საფუძვლის მძიმე ინდუსტრიის დაჩქარებული განვითარება, რაც შეადგენს ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების წყაროს.

სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობის გამოცდილებამ დამაჯერებლად უჩვენა მთელი მსოფლიოს მშრომელებს, რომ მხოლოდ პროლეტარული სახელმწიფოს შექმნისა და შემდგომი განმტკიცების გზით შეიძლება განხორციელდეს პროლეტარიატის მსოფლიო-ისტორიული ამოცანა — კაპიტალისტური საზოგადოების გარდაქმნა კომუნისტურ საზოგადოებად.

სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზაზე საბჭოთა ხალხის მიერ მიღწეული უდიდესი წარმატებანი ყველა ქვეყნის მშრომელებს უნერგავენ მთელ მსოფლიოში კომუნიზმის აშენების ღრმა რწმენას.

ა. ხელაშვილი,
ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი.

მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩავატაროთ საგაზაფხულო სამუშაოები

აარ შევურიგდეთ ნაკლოვანებებს

ტირიფონის ველზე კვლავ აგუგუნდნენ ტრაქტორები. საგაზაფხულო ხვნა-თესვაში დაწინაურდა ახალსოფლის მტს-ის მეცხრე სატრაქტორო ბრიგადა, რომელსაც გამოცდილი მექანიზატორი დიმიტრი ხუროშვილი ხელმძღვანელობს. ამ სატრაქტორო ბრიგადამ თავისი მომსახურების — ხუთვალეთისა და ნადარბაზევის კოლმეურნეობებში ვიწრო მწკრივებად დათესა გეგმით გათვალისწინებული 153 ჰექტარი ქერი და საგაზაფხულოდ მოხნა 150 ჰექტარი მიწა. ახლა სატრაქტორო ბრიგადა მრავალწლიან ბალახებს თესავს. ხუთვალეთში დათესილია 13 ჰექტარი ესპარცეტი. ბრიგადის მოწინავე ტრაქტორისტები მიხეილ ჯაჯოშვილი და სანდრო გელაძე თესვის დროულ ნორმებს გადამეტებით ასრულებენ.

მეცხრე სატრაქტორო ბრიგადას მუშაობაში არ ჩამორჩება მტს-ის მერვე სატრაქტორო ბრიგადა, რომელიც სოფელ შავშვების მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობას ემსახურება. აქ გეგმით გათვალისწინებულ 100 ჰექტარის ნაცვლად უკვე დათესილია 128 ჰექტარი საგაზაფხულო ქერი, ხოლო საგაზაფხულო ხორბალი — 10-ის ნაცვლად 12 ჰექტარი. ტრაქტორისტმა ლავრენტი კაძილოვმა „კი-35“ მარკის ტრაქტორით მოკლე დროში კოლმეურნეობას 120 ჰექტარზე მეტი დაუთესა.

აღსანიშნავია, რომ ახალსოფლელმა მექანიზატორებმა, ისევე როგორც გორის რაიონის მოწინავე კოლმეურნეობებმა, წლევანდელი ზამთრის მშრალი, თბილი ამინდები კარგად გამოიყენეს და თებერვლის პირველი რიცხვებიდანვე გააჩაღეს მინდვრის სამუშაოები. მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში უკვე დათესილია 577 ჰექტარი თაიფაური კულტურები ნაკლებად გეგმით გათვალისწინებული 523 ჰექტარისა, 77 ჰექტარი მრავალწლიანი ბალახები, ანუ გეგმის 29,5 პროცენტი.

თავთავიანი კულტურების თესვა დაამთავრეს ავრეთვე შინდისის მტს-მა და მისი ზონის კოლმეურნეობებმა. საერთოდ ამ კულტურების თესვის ტემპი სხვა მტს-ებშიც დამაკმაყოფილებელია. მაგრამ ნელა წარმოებს ბალახების თესვა. რაიონში ერთწლიანი ბალახის თესლი არა აქვთ. კოლმეურნეობათა ერთ ნაწილს მრავალწლიანი ბალახის თესლიც აკლია. კოლმეურნეობებში, რომლებსაც ასეთი თესლი არა აქვთ, მის ნაცვლად ქერსა და სიმინდს დათესავენ. ბალახების თესვას არც ის კოლმეურნეობები ჩქარობენ, რომლებსაც თესლი აქვთ. მაგალითად, ზერშეეთის, ტინისხიდის, ხელოუბნის, ნიქოზის, შინდისის კოლმეურნეობებს მრავალწლიანი ბალახების თესვა ჯერაც არ დაუწყიათ. აქედან კოლმეურნეობათა გამგეობებმა საჭირო დასკვნები უნდა გააკეთონ.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ მტს-სა და კოლმეურნეობაში ჭიანურდება ბრიგადებისათვის საწარმოო გეგმების შედგენა. ასეა, მაგალითად, გორის მტს-ში, სოფელ ძევრის კოლმეურნეობაში და სხვ. არის მანქანების მოცდენის შემთხვევებიც. გორის მტს-ის მეხუთე სატრაქტორო ბრიგადის ტრაქტორი „ნატი“, რომელიც ძევრის კოლმეურნეობაში მუშაობს, ხშირად ცდება ტექნიკური უწესივრობის მიზეზით.

გორის რაიონში საგაზაფხულო ხვნა-თესვის აგროტექნიკურ ვადებში და მაღალხარისხოვნად ჩატარების ყველა პირობაა. საჭიროა ეს პირობები კარგად გამოიყენონ მტს-ებმა და კოლმეურნეობებმა, რომლებსაც საქმიანი დახმარება უნდა გაუწიონ მტს-ების ზონებში რაიკომის მუშაკთა ჯგუფებმა.

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

გარდატეხა არ იგრძნობა

ტყიბულის რაიონში მარცვლეული კულტურებიდან ყველაზე დიდი ხვედრითი წონა სიმინდს აქვს. კოლმეურნეები ანგარიშობენ, თუ სიმინდის მოსავლიანობის გაზრდით რამდენ ხორცს, ქონსა და რძეს მიიღებენ.

მაგრამ რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ პრაქტიკულად ცოტას აკეთებენ სიმინდის ნათესი ფართობის გასადიდებლად, მისი მოსავლიანობის ასამაღლებლად.

გასულ წელს კოლმეურნეობებმა სიმინდის ძალიან დაბალი მოსავალი მიიღეს. საშუალო მოსავლიანობამ ჰექტარზე ძლივს მიაღწია 4,3 ცენტნერს.

ასეთი ჩამორჩენა ძირითადად საგაზაფხულო ხვნა-თესვის აგროტექნიკური ვადების დარღვევამ გამოიწვია. რაიონში ვერცერთმა კოლმეურნეობამ ვერ დათესა სიმინდი კვადრატულ-ბუდობრივად. ყურადღება არ ექცეოდა მინდვრად ორგანული და მინერალური სასუქების გატანას. მუხურის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში, საწარის კოლმეურნეობა „გლეხის იმედში“ გაუთოხნავი დატოვეს სიმინდის უანები.

მოსალოდნელი იყო, რომ წელს გათვალისწინებული იქნებოდა შარშანდელი გაკვეთილები და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილებიდან სათანადო დასკვნებს გააკეთებდნენ. მაგრამ ასე როდი მოხდა. ჯერჯერობით არ შეუმუშავებიათ ღონისძიებანი სიმინდის ნათესების გასაფართოებლად, თუმცა ამისი საჭიროებაც დიდია და შესაძლებლობაც.

სიმინდის მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთი საშუალებაა ყამირი და ნასვენი მიწების ათვისება. გეგმით ასათვისებელია 200 ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწა. ათვისებულია მხოლოდ 50 ჰექტარი. ეს სამუშაო ყველაზე უფრო ჩამორჩა მუხურის მალენკოვის სახელობის, მანდიკორის ცხაკაიას სახელობის და ციხიას მახარაძის სახელობის კოლმეურნეობებში.

სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივად თესვის მნიშვნელობას ტყიბულის რაიონში რატომღაც ჯეროვნად არ აფასებენ.

— გასულ წელს, — აცხადებს რაიასამხედრო აღმასკომის ზოგიერთი მუშაკი, — ვცადეთ დაგვეთესა სიმინდი კვადრატულ-ბუდობრივად, მაგრამ კვადრატი ვერ მივიღეთ. ამიტომ გადავწყვიტეთ წელს თავი დავანებოთ ამ მეთოდით სიმინდის თესვასო. დროა ბოლო მოეღოს ასეთ საზიანო განწყობილებას.

აგროტექნიკურ ვადებში მარცვლეული კულტურების თესვას სერიოზულ საფრთხეს უქმნის გუთნების უქონლობა. რაიონის ხელმძღვანელები ზემდგომ ორგანოებში წლების მანძილზე აყენებენ საკითხს კოლმეურნეობების მთის პირობებში მომუშავე გუთნებით მომარაგების შესახებ, მაგრამ მხარდაჭერას ვერ პოულობენ. ამ საქმეში დახმარების გაწევა შეუძლიათ საშეფო ორგანიზაციებს — ტყიბულქვანახშირის ტრესტსა და მის შახტებს. ამის შესახებ ამას წინათ კიდევაც იმსჯელა პარტიის რაიკომის ბიურომ, რომელმაც ტყიბულქვანახშირის ტრესტის ცენტრალური ელექტრომექანიკური სახელოსნოს კოლმეურნეობებს მიატე კონსტრუქციის გუთნები, მაგრამ დღემდე პრაქტიკულად არაფერია გაკეთებული. ზოგიერთ კოლმეურნეობაში ცუდად არის მოვლილი მუშა-პირუტყვი. იგი დღემდე არ არის გადაყვანილი გაძლიერებულ კვებაზე. ეს ითქმის საწარის კოლმეურნეობა „გლეხის იმედზე“ (თავმჯდომარე ჯ. რობინშვილი). აქ საკვების ნაკლებობას განიცდიან და პირუტყვს ცოტას აძლევენ როგორც კონცენტრირებულ, ისე უხეშ საკვებს. მსგავსი მდგომარეობაა მუხურის ტელმანის სახელობის, გელათისა და კოკის კოლმეურნეობებში.

თუ ეს საკითხები სასწრაფოდ არ მოგვარდა, თესვის დროულად ჩატარებას საფრთხე მოელის.

ვ. ციბრეკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

„კომუნისტის“ მკითხველთა კრება საზამთრო საძოვრებზე

ჩოკონი რინოლკი, გროზნოს ოლქი. (სპეც. კორ.). ამ დღეებში ბაჯიგანის საზამთრო საძოვრებზე, სადაც ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობათა ცხვარი ზამთრობს, გაიმართა „კომუნისტის“ მკითხველთა კრება.

კრებამ, რომელსაც ძირითადად დუშეთის რაიონის გუდამაყრის კოლმეურნეობის წევრები ესწრებოდნენ, მოისმინა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილის ამხ. ა. კოკლაშვილის მოხსენება თემაზე: „გაზეთი და მკითხველი“.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი.

გუდამაყრის კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ი. წიკლაურმა გაზეთ „კომუნისტს“ უსაყვედურა, რომ იგი ჯერ

წერილები რედაქციას

ყურადღების ღირსია

ჭიათურის მარგანეცის მაღაროებში მუშაობს მრავალი მუშა ტერიტორიულად დაშორებული სოფლებიდან. ბევრი მათგანი მარგანეცის გამოღების ღიღურ ნორმებს გადაჭარბებით ასრულებს.

მშრომელებს ყოველგვარი პირობა აქვთ ნაყოფიერი შრომისა და კულტურული დასვენებისათვის. მაგრამ არსებობს ერთი მოსაგვარებელი საქმე — ჭიათურიდან სოფელ კორბოულის გზაზე ტრანსპორტის უქონლობა. ეს მანძილი 25 კილომეტრზე მეტია.

17 სოფლიდან, რომლებიც ამ გზის ორივე მხარეზეა, ჭიათურის მადაროებში მრავალი მუშა მუშაობს, მათ ამ მანძილზე ფეხით სიარული უხდებათ. გზა სავსებით ვარგისია მანქანების მიმოსვლისათვის.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების საბინისტროს იცის, რომ საჭიროა მანქანის გამოყოფა, მაგრამ რატომღაც ღიმდე არ გადაუწყვეტია ეს საკითხი. საჭიროა ამ საქმეს ჯეროვანი ყურადღება მიექცეს.

ტ. ტაბატაძე.

ერთხელ კიღევ ბაქნების შესახებ

ქუთაისი-ტყიბულის რკინიგზის ხაზზე წლების განმავლობაში უყურადღებოდ მიტოვებულია გელათის, კურსების, ჭყეპისა და დაბაძველის ბაქნები. არცერთგან არ არის მგზავრთა თავშესაფარი, ფარდულებისა და ჩამოსაჯდომების უქონლობის გამო მგზავრებს ოკაესპირულ წვიმაში ცის ქვეშ საათობით უხდებათ ფეხზე დგომა და მატარებლის ლოდინი.

ამ ბაქნების მოწყობის საჭიროება უკანასკნელ 2-3 წელიწადში რამდენჯერმე აღინიშნა პრესაში, თათბირებზე და კრებებზეც, მაგრამ მშრომელთა ამ მოთხოვნისათვის ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელ მუშაკებს ყურადღება არ მიუქცევიათ.

დროა ეს საკითხი რკინიგზის ხელმძღვანელებმა მოკლე დროში მოაწესრიგონ.

ლ. გაბადაძე.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

ხაშურის რაიონის სოფელ იტრიის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. დეკანოიძე, ფერმის გამგე მ. ჩადუნელი და ბრიგადირი ვ. ჩადუნელი შეთანხმებულად ეწევიან საკოლმეურნეო ქონების მითვისებას. 1954 წლის შემოდგომაზე იყო საშემოდგომო ხორბლის უხარისხოდ თესვის შემთხვევა, — სწერდა რედაქციას სოფლური ხაშურის რაიონიდან.

წერილი ზომების მისაღებად საქართველოს კომპარტიის ხაშურის რაიკომს გადაეგზავნა. როგორც რაიკომი იტყობინება, საშემოდგომო ხორბლის უხარისხოდ თესვაში დამნაშავე მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი ი. გოგოლაძე პასუხისგებაში იქნა მიცემული. რაიკომის ბიუროომ სოფელ იტრიის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის გაპეგობის თავმჯდომარეს ამხ. გ. დეკანოიძეს კოლმეურნეობაში დაშვებული დარღვევისათვის მიუთითა და დასახა ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

კოლმეურნე მსახიობები

დარბაზში ტევა არ არის. აქ მოსულან კოლმეურნეები და მექანიზატორები, აგრონომები და ზოოტექნიკოსები, მასწავლებლები და სოფლის ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლები. ყველა აღფრთოვანებულია ნ. კიკვაძის პიესის „ღირსეული მეუღლის“ დადგმით, მსახიობთა მიერ როლების შესრულებით...

ჩვენ ამ შემთხვევაში როდი ვწერთ პროფესიულ თეატრზე ან კვალიფიციურ მსახიობებზე, გვსურს მკითხველს მოვუთხროთ საკოლმეურნეო კლუბისა და მისი დრამატული წრის მუშაობაზე.

ხუთი თვის წინათ პარტიის ლაგოდეხის რაიკომის ბიუროომ მოისმინა სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდგომარეობა კოლმეურნეობაში კულტურულ-მასობრივი მუშაობის მდგომარეობის შესახებ. აღინიშნა, რომ თვითმოქმედი წრეების და კერძოდ დრამატული წრის საქმიანობა მ...ვიწყებული იყო.

რაიკომის ბიუროს მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელების საფუძველზე კოლმეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ (მდივანი გ. სესიტაშვილი) არსებითად გარდაქმნა მუშაობა. დრამატულ წრეში გაერთიანდნენ სცენისმოყვარე კოლმეურნეები. წრის ხელმძღვანელად გამოჰყვეს ამხ. შ. ლომიძე. ნაყოფიერმა მუშაობამ მალე შედეგი გამოიღო...

ორი თვის მზადების შემდეგ პიესა „ღირსეული მეუღლე“ კოლმეურნეობის კლუბში აჩვენეს. მაყურებელმა სპექტაკლი კარგად მიიღო.

ნ. კიკვაძის პიესა ასე იწყება:

... ჩვენს სამშობლოში შემოკრული გერმანელ ფაშისტთა ურდოების წინააღმდეგ საბრძოლველად გმირულად აღდგნენ საბჭოთა ადამიანები. მათ შორის იყო სალომეს მეუღლე ვახტანგიც.

სოფელში ცნობა მიიღეს ვახტანგის დაღუპვის შესახებ (შემდეგ ირკვევა, რომ ეს ცნობა მართალი არ ყოფილა). ვახტანგის მეუღლე სალომე მტკიცე ნებისყოფის ქალია. თავდადებით შრომობს, გულითადად მეგობრობს თანასოფლელებთან, მაგრამ წუთითაც არ ივიწყებს საყვარელ ქმარს...

ვახტანგის „დაღუპვის“ შემდეგ სალომესთან შეუღლებას ცდილობს კოლმეურნე კიტა. როგორც პიესის ავტორმა, ისე როლის შემსრულებელმა შ. ლომიძემ კარგად დაკვიხატეს უბრინციპო, მერყევი ხასიათის ქმარი კიტას სახე. პიესაში ამ უარყოფით ტიპს უპირისპირდება მტკიცე ხასიათის კოლმეურნე თომა.

დრამატული წრის წევრები შ. ლომიძე (კიტა) და მ. ქადაგიშვილი (თომა) დამაჯერებლად ასრულებენ ამ როლებს. სპექტაკლში მათი გამოჩენა მუდამ მაყურებელთა დიდ ინტერესს იწვევს.

შ. ლომიძე ლაგოდეხის მტს-ის აღმრიცხველია ამ სატრაქტორო ბრიგადაში, რომელიც კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძს“ ემსახურება, ხოლო მიხეილ ქადაგიშვილი კოლმეურნეობის მოსაგარიშეა. შარშან მ. ქადაგიშვილმა, გარდა იმისა, რომ დაკისრებული მოვალეობა წარმატებით გაანაღდა, მეძროხეობის მექანიზებულ ფერმაში სილოსის დაჭრაზე იმუშავა და სხვა კოლმეურნეებთან ერთად 300 ტონა სილოსი ჩადო.

სამამულო ომის მონაწილე ვახტანგის ტიპიური სახე მოგვცა დრამატული წრის წევრმა გ. სიყმაშვილმა.

გ. სიყმაშვილი მოწინავე კოლმეურნეა. მან შარშან 1 ჰექტარზე ნაცვლად 40 ცენტნერისა მოწინავე აგროტექნიკური წესების დაცვის შედეგად 70 ცენტნერი სიმინდი მიიღო. გარდა ამისა, გ. სიყმაშვილი აბრეშუმის ჭიას უვლიდა, 30 კილოგრამის ნაცვლად 45 კილოგრამი საუკეთესო ხარისხის აბრეშუმის პარკი ჩააბარა სახელმწიფოს.

დრამატულ წრეში გაერთიანებული არიან კოლმეურნეობის სხვადასხვა ბრიგადის წევრები. მაგალითად, პიესაში სალომეს მეგობრის ნატალიას როლს ასრულებს კოლმეურნე ნუშო შუბითიძე. ნატალია პიესის მიხედვით საუკეთესო მეჩაიე ქალიშვილია. ამ როლს ნ. შუბითიძე დამაჯერებლად გადმოგვცემს. ეს ალბათ იმით არის გამოწვეული, რომ ნ. შუბითიძე სინამდვილეშიც აქტიური კოლმეურნეა. მეექვსე ბრიგადაში მას იცნობენ როგორც თამბაქოს მოყვანის საუკეთესო ოსტატს. იმ ბრიგადამ, სადაც მას უხდება მუშაობა, შარშან თამბაქოს მოყვანის სარეკორდო მაჩვენებლებს მიაღწია. ბრიგადა წელს მილიონერია, მისი შემოსავალი 1.300 ათას მანეთს უდრის. ამ დოვლათის შექმნაში ნ. შუბითიძესაც დიდი წვლილი მიუძღვის. შარშან მან 400 შრომადღე გამოიმუშავა. პიესის მომზადების დროს იგი გაცხოველებით მუშაობდა, თამბაქოს აღებისას 100 ათას ზონარმეტრზე მეტი თამბაქო ანვმსა, მაგრამ ერთხელაც არ გაუცდენია წრის მეცადინეობა, ყოველთვის მომზადებული მოდიოდა.

კარგად ასრულებს როლს უ. შუბითიძე (გიორგი). იგი კოლმეურნეობის აგროტექნიკოსია, მას რეპანის ნაკვეთი ჰქონდა მიმაგრებული და 38 ცენტნერის ნაცვლად 78 ცენტნერი მოსავალი მიიღო, რისთვისაც მარტო ფულად ჯილდოდ 2.000 მანეთი მიეცა. შარშან მან გამოიმუშავა 447 შრომადღე. ასევე მოხდენილად ასრულებენ როლებს გ. ზედელაშვილი (ონისიმე), რ. ცაცაშვილი (გაბრიელი). მეორე და მეოთხე ბრიგადების აღმრიცხველი შ. ქურციკიძე (თეიმურაზი), ვ. ყანჩაშვილი (ოსეები).

მასობრივ სცენებში გამოირჩევიან კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმის მწველავი ეთერ გრატაშვილი და სალომეს შვილიშვილი — ცისანა და გიოს როლების შემსრულებელი, სოფელ შრომის 8-წლიანი სკოლის მოსწავლეები ნ. ზედელაშვილი და ი. შუბითიძე.

დრამატული წრე ახალ სცენისმოყვარეებს იზიდავს. ამას წინათ წრეში მონაწილეობის სურვილი განაცხადა ლაგოდეხის მტს-ის ტრაქტორისტმა ტარიელ მაჭარაშვილმა. მან შარშან „სტზ-ნატის“ მარკის ტრაქტორით რბილ ხვნაზე გადაყვანით 400 ჰექტარის ნაცვლად 700 ჰექტარი მოხნა. ახლა გულდასმით ემზადება ახალ სპექტაკლში მონაწილეობისათვის.

კოლმეურნე მაყურებელი კმაყოფილი დარჩა სპექტაკლის მუსიკით. კოლმეურნეობის სასულე ორკესტრის წევრებმა (ორკესტრის ხელმძღვანელი ვ. ფალავანდიშვილი) საუკეთესო შემოქმედებითი მონაცემები გამოაქიღავნეს. ორკესტრის მონაწილე ითსეფ ქუფრაშვილი ენერგიულად მუშაობს კოლმეურნეობის მესამე ბრიგადაში. მებოსტნეობის რგოლის წევრია გიორგი ცაბლინი. ორკესტრის მონაწილე შალვა მოლაშვილი ავტომძღოლის თანაშემწეა. ხოლო შ. თანდაშვილი — აგროტექნიკოსი.

მხატვარ ა. დუნდუკოვს მშვენივრად გაუფორმებია სპექტაკლი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილებით აღფრთოვანებული კოლმეურნეები ამჟამად წარმატებით მუშაობენ მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის. დრამატული წრის წევრებმა გადაწყვიტეს თავიანთი წვლილი შეიტანონ ამ კეთილშობილურ საქმეში. ისინი მეცხოველეობის ფერმებში აჩვენებენ გამსვლელ სპექტაკლებს. ამას წინათ სპექტაკლი „ღირსეული მეუღლე“ უჩვენეს მეძროხეობის, მეღორეობისა და მეკამეჩეობის ფერმების მუშაკებს.

კოლმეურნეობის დრამატული წრის ეს ინიციატივა მისაბაძი მაგალითია.

ბ. ხეჩუაშვილი,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

* * *

სურათებზე: (ზემოთ) სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ დრამატული წრის წევრები მ. ქადაგიშვილი და შ. ლომიძე თომასა და კიტას როლში. (ქვემოთ) სპექტაკლ „ღირსეული მეუღლის“ მეორე მოქმედება.

თ. აბაკელიას ნაწარმოებთა გამოფენა ერევანში

ერევნის ნაბეჭდთა მხატვრების სახლის დიდ დარბაზში ამ დღეებში საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის თ. აბაკელიას ნაწარმოებთა გამოფენა, რომელიც მოაწყო საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ხელოვნების საქმეთა სამართველომ და საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირის გამგეობამ. გამოფენის გახსნას დაესწრნენ ერევნის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლები, მუშები, კოლმეურნეები, მეცნიერები, მწერლები, ხელოვნების მუშაკები, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, მოსწავლეები, ავრეთვე ერევანში ჩასული საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირის წევრები.

გამოფენაზე წარმოდგენილია ფერწერის, სკულპტურის, გრაფიკის, თეატრალური დეკორაციის, წიგნების ილუსტრაციის 250-ზე მეტი ექსპონატი, მათ შორის ქანდაკებანი „კოლმეურნის ოჯახი“, „ლესია უკრაინკა“, „ბერაფეული ნაწარმოენი „თურქმენი ქალები“, „ბედნიერი ოჯახი“, სომხური ხალხური ეპოსის „დავით სასუნელის“ ილუსტრაციები და სხვ.

სომხეთის საბჭოთა მხატვრების კავშირს განზრახული აქვს თბილისში წელს მოაწყოს სომეხი მხატვრების გამოფენა.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

მოგონებანი ლევ ტოლსტოიზე

„აღმოსავლეთის ბრძნული თქმულებაა: თუ ადამიანს წოლად ხვდა ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ამბის მოწმე ყოფილიყო, ის ვალდებულია ეს ამბავი გადაიტანოს ქაღალდზე თავისი შვილიშვილისა და შვილთაშვილების საყურადღებოდ. მე ჩემს ცხოვრებაში წოლად მხვდა ისეთი დიდი ადამიანის, როგორიც იყო ლევ ტოლსტოი, ცხოვრების მოწმე ვყოფილიყავი“... ასე იწყება მხცოვანი ქართველი მწერლის ნინო ნაკაშიძის წიგნი „ლევ ტოლსტოის ახლოს“.*)

ავტორს წოლად ხვდა ბედნიერება ხუთი წლის მანძილზე (1898 წლიდან 1903 წლამდე) ყოფილიყო დიდი რუსი მწერლის ლევ ტოლსტოის ახლოს, დაკვირვებოდა მის ცხოვრებას და შემდეგ მკითხველისათვის გაეზიარებინა თავისი პატარა მოგონება ამ დიდ შემოქმედზე.

წიგნში მოხდენილად არის აღწერილი ტოლსტოის სიცოცხლის ბოლო ხანები. ეს ის პერიოდია, როდესაც მკაფიოდ ჩამოყალიბდა ტოლსტოის მოძღვრება მორალზე, მისი ვეგეტარიანული იდეები, როდესაც ხელნაწერების სახით გავრცელებულმა ტოლსტოის-მორალისტის რელიგიურ-ფილოსოფიურმა წერილებმა დაინტერესებულ საზოგადოებაში გაცხოველებული კამათი გამოიწვია. ტოლსტოის ამ მოძღვრებამ აამძრავა სექტანტები, განსაკუთრებით დუხობორები, რომლებიც, ტოლსტოის მსგავსად, წინააღმდეგი იყვნენ შებრძოლებოდნენ ბორტებას ძალით, ისინიც ვეგეტარიანები იყვნენ და მათი სარწმუნოება მთლიანად იზიარებდა ტოლსტოის ახალ მოძღვრებას.

წიგნში ფართო ადგილი აქვს დათმობილი დუხობორულ მოძრაობას, ტოლსტოის დამოკიდებულებას მათდამი და ქართველი ინტელიგენციის როლს ამ საკითხში.

როგორც ცნობილია, დუხობორებს თავიანთი რელიგიური რწმენის გამო ეკატერინე მეორის დროიდან სდევნიდნენ. 1837 წელს ისინი გადმოასახლეს საქართველოში, სადაც კაზაკებისაგან აწიოკებასა და რბევას განიცდიდნენ. ტოლსტოი ცდილობდა შეემსუბუქებინა მათი უმძიმო მდგომარეობა, დახმარებოდა მატერიალურად და მათთვის საცხოვრებლად მათი სარწმუნოების შესაფერისი ქვეყანა გამოეძებნა. ამ საქმეში ტოლსტოის განსაკუთრებით დიდ დახმარებას უწევდა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე ილია ნაკაშიძე — მეუღლე ნინო ნაკაშიძისა.

ავტორი განსაკუთრებული სიყვარულით აღწერს ტოლსტოის დამოკიდებულებას საქართველოსა და ქართველებისადმი.

ტოლსტოის სახელი მჭიდროდ დაკავშირებულია საქართველოსთან. ტოლსტოი თბილისში ცხოვრობდა 1851-1852 წლებში და თავისი ბიძაშვილი მხატვრული ნაწარმოებიც აქვე დაწერა.

წიგნში მოთხრობილია, თუ როგორი ინტერესით ეპყრობოდა ტოლსტოი ქართულ კულტურას, საქართველოს სახელოვან ისტორიას, ქართველ მოღვაწეებს, საქართველოს გლეხთა სოციალურ მოძრაობას. ტოლსტოი აღტაცებული იყო გურულების მაშინდელი ცხოვრებით. იგი იმდენად აღფრთოვანა გურულების 1905 წლის მოძრაობამ, რომ ილია ნაკაშიძეს გამოუგზავნა გურულების-თვის წერილი, რომელიც ი. ნაკაშიძემ მიტინგზე წაუკითხა გურულებს. ეს წერილი ამჟამად საქართველოს მუზეუმში ინახება.

ავტორი მოგვითხრობს, თუ რა დახმარება გაუწია კავკასიის ისტორიკოსმა, პოლოკოვნიკმა სიმონ ესაძემ ტოლსტოის — მოთხრობა „ჰაჯი მურატის“ შესახებ ცნობების შეკრებაში. ს. ესაძემ, რომელიც კავკასიის სამხედრო-საისტორიო არქივში მუშაობდა, მწერალს არქივის მასალებიდან მრავალი საინტერესო ცნობა გაუგზავნა, რომლებზე დაყრდნობით ტოლსტოიმ მოთხრობაში ბევრი დოკუმენტალური დეტალი შეიტანა. ტოლსტოი ამ დახმარებას ი. ნაკაშიძისადმი გაგზავნილ წერილში მადლობის გრძნობით იხსენიებდა. „ეს მოთხრობა ამ შრომის ღირსი არ არის, რომელსაც კეთილი ადამიანები მისთვის ეწევიანო“, — წერდა დიდი მწერალი.

წიგნში ფართო ადგილი აქვს დათმობილი ტოლსტოისა და ილია და ნინო ნაკაშიძეების პირადი ურთიერთობის საკითხს. წიგნში მოცემულია აგრეთვე ძვირფასი მასალა, რომლითაც ხასიათდება ტოლსტოი, როგორც ჰუმანიტარიზმის მატარებელი ადამიანი, უბრალოების მოყვარული, ჩაგრულების მოსარჩლე, გლეხკაცობის მფარველი.

ლევ ტოლსტოი გლეხკაცობის დიდი ქომაგი იყო. თავისი ცხოვრების ბოლო პერიოდში იგი ღრმად ჩასწვდა გლეხთა ცხოვრებას და სულით და გულით მათ მხარეზე დადგა. წიგნის ავტორი იგონებს მეგობრებთან საუბრის დროს ტოლსტოის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს. იგი ლაპარაკობდა გლეხებისათვის წერის აუცილებლობაზე; წერა იმათ ცხოვრებაზე, ვინც რიცხვით დიდ უმრავლესობას შეადგენს — გლეხობაზე, აუცილებელ საკითხებზე წარმოადგენს. ჩემი ძველი ნაწერები ეხებიან ხალხის ამ ნაწილს, რომლის ცხოვრების შესახებ წერა და მოსმენა არც კია საჭირო...

ტოლსტოი მუდამ იმის ცდაში იყო, რომ დახმარებოდა მშრომელთა შვილებს. მისი შუამდგომლობით გაიხსნა რამდენიმე სახელოსნო სკოლა ღარიბი ბავშვებისათვის. ტოლსტოის უყვარდა ბავშვები და მათთან ყოველთვის ისე საუბრობდა, როგორც დიდებთან. ავტორი სიყვარულით აღწერს ტოლსტოის დამოკიდებულებას ნორჩი მკითხველებისადმი.

წიგნში ხაზგასმით არის მოცემული ტოლსტოი, როგორც თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ დაღაბული მებრძოლი, რეჟიმისა, რომელიც ხალხის ძარცვა-ბეჯეგზე იყო აგებული. მთავრობისათვის, რასაკვირველია, ხელსაყრელია მუშები დაჩაგრული, შიშქვეშ ჰყავდეს, — ეუნებნოდა ტოლსტოი თავის მეგობრებს. წიგნში მოყვანილია გონებაჩლუნგი ნიკოლოზ მეორის პიროვნების ლაკონური შეფასება ტოლსტოის მიერ.

6. ნაკაშიძე საინტერესო მასალას გვაწვდის სინოდის ეკლესიურებით მართლმადიდებელი ეკლესიისაგან ტოლსტოის განკვეთის შესახებ. წიგნში აღწერილია ამ ამბით გამოწვეული მღელვარება მთელი საზოგადოებრიობისა, საპროტესტო კრებები, მთავრობის მკაცრი რეპრესიები, ტოლსტოის სულიერი სიძლიერე და სიმშვიდე.

შემდეგი თავი მიძღვნილი აქვს ტოლსტოის ავადმყოფობისა და ყირიმში მისი გამგზავრების აღწერას. ავტორს მოჰყავს ნაწყვეტები ტოლსტოის თანამოაზრისა და მეგობრის ბ. ფულანდეს წერილიდან, რომელშიც მოთხრობილია ამ მგზავრობის შესახებ. ავადმყოფობით დასუსტებული, მოხუცი ტოლსტოის მგზავრობა ყირიმში იყო ხალხის მიერ ამ გენიალური მწერლის დაფასების უდიდესი დემონსტრაცია. მატარებელს, რომლითაც ლევ ტოლსტოი მიემგზავრებოდა, სადგურებზე აუარებელი ხალხი ხვდებოდა.

წიგნის დასასრულს ავტორი აგვიწერს ტოლსტოისთან გამოთხოვებას იასნაია პოლიანაში, სადაც ტოლსტოი მთელ ზამთარს ცხოვრობდა ავადმყოფობის შემდეგ ყირიმიდან დაბრუნებული. ეს იყო 1903 წლის თებერვალში. მაშინ ტოლსტოი ამბობდა: უსათუოდ მოვალ თქვენს მზიურ საქართველოში და გნახავთო. მაგრამ დიდმა მწერალმა ეს დაპირება ვერ შეასრულა. მას შემდეგ წიგნის ავტორს ტოლსტოი არ უნახავს.

ღრმა ინტერესით იკითხება და კარგადაც არის შერჩეული ტოლსტოის წერილები, რომლებსაც დღესაც არ დაუკარგავთ თავიანთი მნიშვნელობა. ისინი შეიცავენ ძვირფას მასალას რუსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის შესახებ.

ქართველი მკითხველები სიამოვნებით წაიკითხავენ ლევ ტოლსტოის ცხოვრების შესახებ დაწერილ, სიყვარულით გამთბარ ამ შესანიშნავ წიგნს.

ჯ. ჭანტურაია.

*) ნ. ნაკაშიძე — „ლევ ტოლსტოის ახლოს“. თბილისი, სახელგამი, 1954 წ.

იმპერიალისტური სახელმწიფოების ბრძოლა ლათინური ამერიკის ქვეყნებში

უკანასკნელ ხანს ბურჟუაზიულ პრესაში სულ უფრო ხშირად გაისმის ჩივილი იმპერიალიზმის ბანაკში მზარდ წინააღმდეგობათა გამო. ინგლისისა და საფრანგეთის ბურჟუაზიის ის ზეჭდვითი ორგანოები, რომლებიც ყველაზე მეტ გულახდილობას იჩენენ, სინანულს გამოთქვამენ იმის გამო, რომ მთავარი კაპიტალისტური სახელმწიფოების მეტოქეობა ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში, ლათინურ ამერიკაში და მსოფლიოს სხვა რაიონებში მნიშვნელოვნად ძლიერდება, საქონლის გასაღების პირობები უარესდება.

ასეთი განწყობილების მიზეზია ექსპანსიონისტური პოლიტიკა ამერიკის შეერთებული შტატებისა, რომელთა მიზანია ახორციელებდნენ ხელმძღვანელ როლს კაპიტალისტურ სამყაროში. ამერიკის შეერთებული შტატების ბრძოლა ინგლისის წინააღმდეგ, რაც, კერძოდ, წარმოუბს ლათინური ამერიკის ქვეყნებში გბატონებისათვის, მნიშვნელოვნად ხდის ფარდას იმ ეკონომიურ და პოლიტიკურ კინკლაობას, რაც საერთოდ იმპერიალისტურ ბლოკს ახასიათებს.

ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის 20 რესპუბლიკამ ომისშემდგომ წლებში მეტად მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა კაპიტალისტური სახელმწიფოების ეკონომიურ ექსპანსიაში. როგორც ცნობილია, ლათინური ამერიკა, რომელსაც ნედლეულისა და სურსათის უმდიდრესი მარაგი აქვს, გასაღების მნიშვნელოვან ბაზას წარმოადგენს. ლათინური ამერიკის ქვეყნები ყოველწლიურად ხმარობენ 7 მილიარდ დოლარზე მეტი ღირებულების საქონელს, ესე იგი მსოფლიო კაპიტალისტური იმპორტის დაახლოებით 11 პროცენტს. ამიტომ იმპერიალისტები, და პირველ რიგში ამერიკელი იმპერიალისტები, ლათინურ ამერიკას უყურებენ როგორც კაპიტალის ხელსაყრელად დაბანდების სფეროს.

ლათინური ამერიკის ქვეყნებში ბატონობისათვის ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ბრძოლის ისტორიას დასაბამი აქვს ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდში. მაგრამ მათი ძალების ძირითადი გადაჯგუფება მოხდა მეორე მსოფლიო ომის დროს და ომისშემდგომ წლებში. „ევროპაში ომმა, — წერდა ინგლისური ჟურნალი „ეკონომისტი“, — შეერთებულ შტატებს განსაკუთრებული შესაძლებლობა მისცა ხელში ჩაეგდოთ ლათინური ამერიკის ბაზრები, და მათაც ეს შესაძლებლობა სწრაფად გამოიყენეს“.

მაშინ როცა ევროპის ქვეყნები ომში იყვნენ ჩაბმულნი, ამერიკელმა მონოპოლისტებმა გააჩაღეს აღვირახსნილი ექსპანსია ლათინური ამერიკის ქვეყნებში. მათ დადეს ხელსაყრელი სავაჭრო შეთანხმებანი, მოახერხეს ხელში ჩაეგდოთ ნედლეულის მომგებიანი წყაროები. ამის შედეგად ამერიკის შეერთებული შტატებს პოზიციები ამ რაიონში მნიშვნელოვნად გაძლიერდა, ხოლო ევროპის ქვეყნებისა შესუსტდა. თუ 1939 წელს ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების კაპიტალდაბანდებანი ლათინური ამერიკის ქვეყნებში დაახლოებით თანაბარი იყო, 1948 წელს ამერიკის შეერთებული შტატების კაპიტალდაბანდებამ 6 მილიარდ დოლარს მიაღწია, ხოლო ინგლისისა შემცირდა 2,6 მილიარდ დოლარამდე.

მაგრამ ინგლისის ბურჟუაზიას როდი აუღია ხელი ბრძოლაზე ლათინურ ამერიკაში ომის დროს დაკარგული პოზიციების აღდგენისათვის. 1947 წელს ინგლისის საქმიანმა წრეებმა მოახერხეს ბრაზილიასთან პირველი ხელსაყრელი სავაჭრო შეთანხმების დადება. ამ შეთანხმების შემდეგ ინგლისმა მოახერხა ხელშეკრულების დადება ჩილესთან, ხოლო შემდეგ 1949 წელს, არგენტინასთან.

ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლისტური გაერთიანებანი ყოველი ღონისძიებით ეწინააღმდეგებოდნენ ლათინური ამერიკის ქვეყნების მიერ სავაჭრო ხელშეკრულებათა დადებას ინგლისთან და ევროპის სხვა ქვეყნებთან. ეს მონოპოლისტური გაერთიანებანი მიმართავდნენ ყველა საშუალებას, დაწყებული შანტაჟით და მუქარით ლათინური ამერიკის ქვეყნების მთავრობათა მისამართით და დამთავრებული აშკარა ეკონომიური ზემოქმედებით.

ღონისძიებებმა, რომლებიც ინგლისის კაპიტალმა მიიღო ლათინური ამერიკის ქვეყნებში ომისშემდგომ პირველ წლებში, რამდენადმე შეამცირა ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობა ლათინური ამერიკის ქვეყნებთან.

მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. ამერიკის მონოპოლიებმა შეძლეს თავიანთი საქმის გამოსწორება ომის კონიუნქტურის საშუალებით, რომელიც შექმნა ავანგიურამ კორეაში. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კვლავ, ისევე როგორც პირველი და მეორე მსოფლიო ომების წლებში, იწყეს სტრატეგიული ნედლეულისა და სურსათის დიდი რაოდენობით შესყიდვა ლათინურ ამერიკაში. ამერიკის შეერთებულ შტატებში ლათინური ამერიკის ქვეყნების ექსპორტის გადიდებამ რამდენადმე შეანელა დოლარის ვალიუტის კრიზისი ამ ქვეყნებში და გაფართოვა მათი საქონელბრუნვა ამერიკის შეერთებულ შტატებთან. თუ 1950 წლის პირველ კვარტალში, ესე იგი კორეაში ომის დაწყებამდე, ლათინური ამერიკის ქვეყნების ექსპორტი ამერიკის შეერთებულ შტატებში 725 მილიონ დოლარს შეადგენდა, უკვე 1951 წლის პირველ კვარტალში იგი გაიზარდა 1.281 მილიონ დოლარამდე.

ამავე დროს კვლავ იწყო შემცირება ინგლისის ვაჭრობამ ლათინურ ამერიკასთან. ლათინურ ამერიკასთან სავაჭრო ბრუნვაში ინგლისის წილი თუ 1949 წელს 11,6 პროცენტს შეადგენდა, 1951 წელს იგი 7 პროცენტამდე შემცირდა.

ლათინური ამერიკის ქვეყნებში თავისი მდგომარეობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში ინგლისელები ეყრდნობიან თავიანთ მრავალი წლის სუფინანსო და სავაჭრო კავშირურთიერთობას, აგრეთვე ცდილობენ თავიანთ მხარეზე გადაიყვანონ ზოგიერთი ფენა ადგილობრივი ბურჟუაზიისა, რომელიც პროტესტს აცხადებს ლათინურ ამერიკაში ამერიკის შეერთებული შტატების ბატონობის წინააღმდეგ. 1952 წელს ინგლისმა მთელი რიგი საკმაოდ ხელსაყრელი სავაჭრო ხელშეკრულებები დადო არგენტინასთან, ურუგვაისთან, კუბასთან, მიჰყიდა ლათინური ამერიკის ზოგიერთ ქვეყანას „მეტეორის“ მარკის რეაქტიული თვითმფრინავების და „კანბერას“ მარკის ბომბდამშენთა პარტია.

მაგრამ თუ მთლიანად ავიღებთ ლათინური ამერიკის ბაზარს, ნათელი გახდება, რომ ინგლისის ვაჭრობა მცირდება. ინგლისის გაზეთი „ობსერვერი“, რომელიც უჩივის იმას, რომ ინგლისის ვაჭრობის მოცულობა მცირდება, წერს: ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ ინგლისის კაპიტალი უმოქმედოდ იყოსო. „ასეთი მდგომარეობა, — აღნიშნავს გაზეთი, — შედეგია გაძლიერებული კონკურენციისა, იმის შედეგია, რომ სხვა ქვეყნები ინგლისს უკანა პლანზე სწევენ“.

ლათინური ამერიკის ქვეყნებში ინგლისის ეკონომიური პოზიციების შესუსტებას ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიების შეტევასთან ერთად ხელს უწყობდა ექსპანსია დასავლეთ გერმანიისა, რომელიც ყოველწლიურად სულ უფრო მკვიდრ ადგილს იკავებს დედამიწის ამ რაიონში. დასავლეთ გერმანიის მრეწველებს ლათინურ ამერიკაში თავიანთი პოზიციების აღდგენის დასაწყისად მიაჩნიათ 1948 წელი, როცა ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატიის ხელშეწყობით დადებულ სავაჭრო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა ფართო ქსელმა გზა გაუხსნა გერმანულ საქონელს ლათინურ ამერიკაში. შედეგი მეტად საგულისხმო იყო: 1948-დან 1952 წლამდე დასავლეთ გერმანიის ექსპორტი სამი მილიონი დოლარიდან გაიზარდა 409 მილიონ დოლარამდე, ესე იგი გაიზარდა დაახლოებით 136-ჯერ. მარტო 1952 წლის განმავლობაში გერმანულმა კომპანიებმა მოახერხეს სავაჭრო ხელშეკრულებების დადება ლათინურ ამერიკის 10 ქვეყანასთან — არგენტინასთან, ბრაზილიასთან, ჩილესთან, კოლუმბიასთან, კუბასთან, მექსიკასთან, პარაგვაისთან, პერუსთან, ეკვადორთან და ურუგვაისთან.

დასავლეთ გერმანიის მონოპოლიები განსაკუთრებით დიდ აქტივობას იჩენენ ბრაზილიაში და არგენტინაში. ბრაზილიის საქმიანი წრეების ორგანო ჟურნალი „ო ობსერვადორ ეკონომიკო ე ფინანსეირო“ აღნიშნავდა, რომ ახლა ბრაზილიაში „გერმანიას უჭირავს პოზიცია, რომელიც ძალიან გვაგონებს იმ პოზიციას, რომელიც მას 1940 წელს ეჭირა“.

ბრაზილიაში დასავლეთ გერმანიის სავაჭრო პოზიციების განმტკიცებაში დიდი როლი შეასრულა ამ ორ ქვეყანას შორის 1952 წლის ბოლოს დადებულმა სავაჭრო ხელშეკრულებამ. ამ ხელშეკრულების პირობები ერთგვაროვად ცხადყოფენ, თუ როგორ ახერხებს დასავლეთი გერმანია ბრაზილიაში ესოდენ წარმატებით უწევდეს კონკურენციას სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებს.

მაგალითად, დასავლეთ გერმანიის მრეწველებმა თანხმობა განაცხადეს ბრაზილიაში შეისყიდონ 20-25 პროცენტით მეტი საქონელი, ვიდრე ბრაზილია ყიდულობს დასავლეთ გერმანიაში. გარდა ამისა, მათ თანხმობა განაცხად

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის მეექვსე სესია

ვარშავა, 16 მარტი. (საკუთარი). დღეს ვარშავაში გაიხსნა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის მეექვსე სესია. სესიის გახსნას დაესწრნენ ბ. ბიერუტი, ა. ზაჯადსკი, ი. ცირანკევიჩი, კ. როკოსოვსკი და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიისა და პოლონეთის მთავრობის სხვა ხელმძღვანელები. სტუმრებს შორის იყვნენ სსრ კავშირის ელჩი პოლონეთში ნ. ა. მიხაილოვი, მთელი რიგი ქვეყნების საელჩოებისა და მისიების მეთაურები, აკრედიტებულნი ვარშავაში.

დეპუტატები და სტუმრები გულთბილად შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარის ა. ბ. ვოლკოვის მეთაურობით.

სესია გახსნა სეიმის მარშალმა იან დემბოვსკიმ, რომელიც სეიმისა და პოლონელი ხალხის სახელით გულთბილად მიესალმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციას.

სეიმის სესიის დღის წესრიგშია: მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ი. ცირანკევიჩის მოხსენება პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ; 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი და ანგარიში 1953 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ; ცვლილებები მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში; სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებისა და დეკრეტების დამტკიცება და სხვა საკითხები.

დღის წესრიგის პირველ პუნქტზე მოხსენება გააკეთა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ცირანკევიჩმა.

სახალხო პოლონეთმა, რომელიც თავის საგარეო პოლიტიკაში ასახავს მთელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებსა და ულრმეს გრძნობას, თქვა ცირანკევიჩმა, თავისი წვლილი შეიტანა და შეაქვს საერთაშორისო თანამშრომლობის ყველა უბანზე მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებისა და ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობის განვითარების საქმეში.

პოლონეთის მთავრობას, განაგრძო მომხსენებელმა, ერთი წუთითაც არ შეუნელებია ღონისძიებანი, რომლებიც მიმართულია გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებისა და გერმანიის გათიშვის წინააღმდეგ.

პოლონეთის მთავრობამ მტკიცედ დაუჭირა მხარი საბჭოთა კავშირის ინიციატივას ევროპის ქვეყნების თათბირის მოწვევის შესახებ, რათა განიხილონ ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საკითხი. ამ თათბირის მუშაობაში, რომელიც მოსკოვში გაიმართა გასული წლის ნოემბერ-დეკემბერში, პოლონეთის მთავრობის დელეგაცია ქმედით მონაწილეობას იღებდა. თათბირის მნიშვნელობამ და მისმა შედეგებმა არ შეიძლება გავლენა არ მოახდინოს ევროპის ამბების განვითარებაზე.

ჩვენი ბანაკის პასუხისმგებელმა საელჩოფო მოღვაწეებმა, განაგრძო ცირანკევიჩმა, მთელი სამტკიცით განაცხადეს, რომ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციას ჩვენ ვუპასუხებთ ისეთი ღონისძიებებით, რომლებიც ჩვენს ქვეყნებს უზრუნველყოფენ ყოველი იმ ცდის წინააღმდეგ, რომ ხელყონ ჩვენი უშიშროება ან ჩვენი საზღვრები.

ჩვენმა ურთიერთობამ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, რასაც საფუძვლად უდევს თანამშრომლობა და მეგობრობა, ოდერსა და ნოისეზე ჩვენი საზღვრების ურყევობა, ცხადყო, რომ ჩვენ შეგვიძლია ერთიანებული, მეგობრული, მშვიდობიანი ურთიერთობა დავამყაროთ გერმანელ ხალხთან. პოლონეთის მთავრობა განაგრძობს თავის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია გერმანის პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგება პოლონეთის მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებისათვის, ევროპის ყველა ხალხის ინტერესებისათვის.

აღნიშნა რა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული პოლიტიკა შორეულ აღმოსავლეთში და განაცხადა რა, რომ შეერთებული შტატები იმუქრებიან თერმოატომბეულის იარაღით, ცირანკევიჩმა თქვა: საბჭოთა მეცნიერებამ და ტექნიკამ ისეთი დიდი წარმატებანი მოიპოვეს, რომ ყოველგვარი ლაყბობა შეერთებული შტატების უპირატესობაზე ატომური იარაღის დარგში უშინაარსო ფანტაზიაა. მან დასძინა, რომ საბჭოთა კავშირი ყოველ წუთში მზად არის დაიწყოს მოლაპარაკება ატომური იარაღის აკრძალვისა და მთელი მარაგის მოსპობის შესახებ საერთაშორისო შეთანხმების დადებაზე, რაც მას არაერთგზის აშკარად განუცხადებია. ამავე დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ხოლო ამ უკანასკნელ ხანს დიდ ბრიტანეთშიც, კვლავ გავრცელდა წყალბადისა და ატომური ბომბებით დამუქრების მეთოდი.

ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც იწვევს მასობრივი მოსპობის იარაღით მუქარის პოლიტიკის ჩიფუშვას, არის სოციალიზმის ბანაკის საბჭოთა კავშირის პოლიტიკა.

პოლონელმა ხალხმა, თქვა ცირანკევიჩმა, სეიმის პრეზიდიუმისა და საელჩოფო საბჭოს საშუალებით განსაკუთრებით მხურვალედ დაუჭირა მხარი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეკლარაციას სხვადასხვა ქვეყნების პარლამენტებს შორის მეჩიდრო კონტაქტის დამყარების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პოლონეთის პოზიცია საერთაშორისო ასპარეზზე განმტკიცდა. სახალხო პოლონეთი მშვიდობის ბანაკის მძლავრი რგოლია. სსრ კავშირთან კავშირმა ის უზრუნველყო, რომ აღორძინებულმა პოლონეთის საჩელმწიფომ სათანადო ადგილი დაიკავა საერთაშორისო ასპარეზზე.

ცირანკევიჩმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პოლონეთის საზოგადოებრიობას პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება მიაჩნია მუდმივ ხელშეკრულებად, რომელიც უზრუნველყოფს პოლონეთის დამოუკიდებლობის და მის ტერიტორიულ ხელშეუხებლობას, მიაჩნია პოლონეთის მთავრობის პოლიტიკის ქვაკუთხედად.

იუზეფ ცირანკევიჩმა თავისი მოხსენების დიდი ნაწილი მიუძღვნა სახალხო-დემოკრატიული პოლონეთის ეკონომიური და კულტურული განვითარების წარმატებებს.

დილის სხდომაზე დაიწყო იუზეფ ცირანკევიჩის მოხსენების განხილვა.

სეიმის სესიის საღამოს სხდომაზე სიტყვა მიეცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის მეთაურს ა. ბ. ვოლკოვს.

საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხები, თქვა ა. ბ. ვოლკოვმა, დაკავშირებული არიან მჭიდრო და უოდვევი ძმური მეგობრობით, რომელიც განმტკიცებულია მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებით, რომლის ათი წლისთავს ჩვენ თქვენთან ერთად აღვნიშნავთ ამა წლის 21 აპრილს. ჩვენი ხალხების მეგობრობა განვლილი ათი წლის მანძილზე შემდგომ განვითარდა და ახლა უფრო მტკიცეა. ვიდრე ოდესმე.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის მოწვევას პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის სესიაზე დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც ეს კონკრეტული ნაბიჯია მშვიდობის ინტერესებისათვის სხვადასხვა ქვეყნის პარლამენტებს შორის თანამშრომლობის განსახორციელებლად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინადადებებს ყველა ქვეყნის პარლამენტების თანამშრომლობაზე მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლის საქმეში ფართოდ გამოეხმაურნენ მთელი მსოფლიოს საზოგადოებრივი და საპარლამენტო წრეები, ხოლო სოციალისტური ბანაკის ქვეყნების პარლამენტებმა, მათ შორის პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის პრეზიდიუმმა და საელჩოფო საბჭომ, განაცხადეს, რომ საკუთარ უპირველ მხარს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეკლარაციას. მაგრამ დასავლეთ ევროპისა და ამერიკის მთელი რიგი ქვეყნების მმართველი წრეები ცდილობენ მიჩქმალონ, ფართო საზოგადოებრიობას დაუმალონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეკლარაცია, ხოლო ამ ქვეყნების პარლამენტებს ჯერ არ გამოუთქვამთ თავიანთი დამოკიდებულება მშვიდობის შენარჩუნებისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების წინადადებებისადმი, რომლებსაც დეკლარაცია შეიცავს.

აბორიგენებს რა მშვიდობისათვის თანმიმდევრულ ბრძოლას, განაგრძო ა. ბ. ვოლკოვმა, საბჭოთა კავშირს არაერთგზის გაუკეთებია კონკრეტული წინადადებანი, რომელთა მიზანია საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შერბილება და ხალხთა უშიშროების განმტკიცება.

ა. ბ. ვოლკოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა ხალხი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, რომ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკამ მხარი დაუჭირა სსრ კავშირის წინადადებებს გერმანიის საკითხის მოწესრიგებისა და ევროპის კოლექტიური უშიშროების მოწყობის შესახებ. რატიფიკაცია პარიზის შეთანხმებებისა, რომლებიც ითვალისწინებენ დასავლეთ გერმანიის გადაქცევას მილიტარისტულ სახელმწიფოდ და მის შეყვანას სამხედრო დაჯგუფებაში, რომლებიც მიმართულია ევროპის სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ, უსაფრთხოებას ნიშნავს ნატოს სახელმწიფოს მოლაპარაკებას გერმანიის გაერთიანების შესახებ და გამორიცხავს ამ საკითხზე შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობას.

ახალი მსოფლიო ომის საფრთხის გაძლიერების პირობებში მშვიდობისმოყვარე ხალხებს თავიანთ უპირველეს ამოცანად მიაჩნიათ გამრავლონ ღონისძიებანი მშვიდობის დასაცავად, იმპერიალისტთა დანაშაულებრივი აგრესიული ზრახვების სამსხვერპლად. ამასთან დაკავშირებით საკმარია გავიხსენოთ გასული წლის ნოემბერ-დეკემბერში გამართული მოსკოვის თათბირი ევროპის რვა სახელმწიფოსი, რომელთა შორის არიან საბჭოთა კავშირი და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა. ამ თათბირის მონაწილეებმა დეკლარაციაში, რომელიც მათ გამოაქვეყნეს, ერთსულოვნად და მტკიცედ განაცხადეს, რომ, თუ მოხდა პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია, ისინი განახორციელებენ ყველა საჭირო ღონისძიებას, რათა განამტკიცონ თავიანთი ქვეყნების უშიშროება და უზრუნველყონ მშვიდობა ევროპაში.

მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ერთიან ბანაკში, თქვა ა. ბ. ვოლკოვმა, მშვიდობისა და უშიშროების საკუთარი საბჭოთა კავშირთან ერთად დგანან დიდი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნები. ჩვენი ხალხების ძალაა მათი მჭიდროდ დარაზმულობა და ერთიანობა, ის, რომ მათ სწამთ თავიანთი ხელაღნდელი დღე. ჩვენი სახელმწიფოების მშვიდობისმოყვარეული პოლიტიკას ყველა ქვეყანაში მხურვალედ თანაუგრძნობს და მხარს უჭერს მილიონობით უბრალო ადამიანი.

დასასრულ ა. ბ. ვოლკოვმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის სახელით წარმატებით მუშაობა უსურვა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის სესიას. საბჭოთა კავშირის ხალხთა სახელით მან მოძმე პოლონელ ხალხს მზურვალედ და გულწრფელად უსურვა შემდგომი წარმატებანი მის აღმშენებლობისეულ შემოქმედების ბრძოლაში, მის თავდადებულ ბრძოლაში მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობისათვის.

ბევენი გარიცხეს ლეიბორისტული პარტიის საპარლამენტო ფრაქციიდან

ლონდონი, 16 მარტი. (საკუთარი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, დღეს ლეიბორისტული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის დახურულმა სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება ფრაქციის შემადგენლობიდან ბევენის გარიცხვის შესახებ. როგორც ცნობილია, ბევენის გარიცხვის შესახებ წინადადება შეიტანა ლეიბორისტული პარტიის ხელმძღვანელობის მემარჯვენე ზედაფენამ. ფორმალურად ბევენის გარიცხვის საკითხის დაყენების საბაბის ფაქტი გახდა, რომ თემთა პალატაში მთავრობის სამხედრო ხარჯების საკითხზე ამასწინანდელი კამათის დროს ბევენმა და მასთან ერთად 60-ზე მეტმა ლეიბორისტმა უარი თქვეს ხმა მიეცათ ოფიციალური რეზოლუციისათვის, რომელიც შეიტანა ლეიბორისტული პარტიის მემარჯვენე ხელმძღვანელობამ და რომელიც არსებითად იწონებს მთავრობის გამალებული ატომური შეიარაღების პოლიტიკას. ბევენის პოზიცია შეაფასეს როგორც ლეიბორისტული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის რეგლამენტის დარღვევა.

ბევენის გარიცხვით ლეიბორისტული პარტიის ლიდერები იმედოვნებენ დაეშინებინათ ყველა ის ლეიბორისტი, რომელიც ბედავს ლიდერების პოლიტიკის გაკრიტიკებას, და ამით „აღმოეფხვრათ გათიშვა“ პარტიაში.

საპარლამენტო ფრაქციის დღევანდელ სხდომაზე ჯერ კენჭი უყარეს ხელმძღვანელობის რეზოლუციის შესწორებას, რომელიც შეიტანა ფრედ ლიმ და რომელიც მოითხოვდა გამოეცხადებინათ ბევენისათვის გაკიცხვა, ხოლო პარტიის ლიდერ ეტლისათვის ნდობა, ამასთან არ გაერიცხათ ბევენი საპარლამენტო ფრაქციიდან. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ეს შესწორება უარყო უმნიშვნელო უმეტესობამ. 14 ხმით მას შემდეგ, რაც ფრაქციის მემარჯვენე ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ იგი შესწორების მიღებას უნდობლობის გამოცხადებად მიიჩნევდა. შემდეგ კენჭი უყარეს ოფიციალურ რეზოლუციას, რომელიც ფრაქციის ზედაფენამ შეიტანა და მოითხოვდა ბევენის გარიცხვას საპარლამენტო ფრაქციიდან. რეზოლუცია მიიღეს 141 ხმის უმრავლესობით 112 ხმის წინააღმდეგ. თემთა პალატის ლეიბორისტულ ფრაქციაში 293 დეპუტატია. ამრიგად, ბევენის გარიცხვას ხმა მისცა ფრაქციის 5ახევარზე ნაკლებმა.

როგორც რეიტერის სააგენტოს ცნობიდან ჩანს, ლეიბორისტული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის დღევანდელ სხდომას არ მიუღია რაიმე რეკომენდაცია პარტიის ეროვნული აღმასრულებელი კომიტეტისადმი. მაგრამ როგორც საბაგენტო აღნიშნავს, ახლა აღმასკომი ალბათ დაიკენებს პარტიიდან ბევენის გარიცხვის საკითხს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციამ გვირგვინით შეამკო საბჭოთა არმიის მეომრების ძმათა სასაფლაო ვარშავაში

ვარშავა, 16 მარტი. (საკუთარი). დღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარის ა. ბ. ვოლკოვის მეთაურობით, რომელიც ჩამოვიდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის მეექვსე სესიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, გვირგვინით შეამკო საბჭოთა არმიის მეომრების ძმათა სასაფლაო ვარშავაში.

გვირგვინით შემკობას დაესწრნენ სეიმის ვიცე-მარშალები ი. ოზგა-მიხალსკი და ს. კულჩინსკი, საგარეო საქმეთა მინისტრი ს. სკშეშევსკი, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი პოლონეთში ნ. ა. მიხაილოვი და ვარშავაში საბჭოთა საელჩოს პასუხისმგებელი თანამშრომლები.

პოლონეთის ხელისუფლებამ თავშესაფრის უფლება მისცეს ირვინგ პოგაშს

ვარშავა, 16 მარტი. (საკუთარი). გუშინ ვარშავაში ჩამოვიდა ამერიკის მუშათა მოძრაობის ცნობილი მოღვაწე ირვინგ პოგაში, რომელსაც ამერიკის ხელისუფლები სდევნიან პროგრესული მოღვაწეობის გამო. პოგაშმა თავშესაფრის უფლება სთხოვა პოლონეთის მთავრობას. პოლონეთის ხელისუფლებამ დააკმაყოფილეს პოგაშის შუამდგომლობა.

ედგარ ფორი ცდილობს მიაღწიოს პარიზის სამხედრო შეთანხმებათა რატიფიკაციას

პარიზი, 16 მარტი. (საკუთარი). საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ედგარ ფორმა სიტყვა წარმოთქვა რესპუბლიკის საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიისა და ეროვნული თავდაცვის კომისიის გაერთიანებულ სხდომაზე და კვლავ ცდილობდა დაერწმუნებინა პარლამენტის მეორე პალატის წევრები, რომ საჭიროა პარიზის შეთანხმებათა მიღწევა. მან დაუბატა საფრანგეთის პარლამენტარებს პერსპექტივა „დიპლომატიური იზოლაციისა“, რაც თითქოს ემუქრება საფრანგეთს იმ შემთხვევაში, თუ იგი ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მოთხოვნებს არ დაემორჩილა. ედგარ ფორი იცავდა იმ ცრუ თეზისს, რომ საფრანგეთს თითქოს „არა აქვს არაერთარი არჩევანი“, რამდენადაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა გადაწყვეტეს ყოველგვარ შემთხვევაში შეიარაღდნენ დასავლეთი გერმანია.

ფორი აგრეთვე ამტკიცებდა, რომ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია „ხელს შეუწყობს ჩრდილოეთ ატლანტიკის“ კავშირის მონაწილე ქვეყნებს შორის თანამშრომლობას „სადავო საკითხთა“ გადასაჭრელად აზიასა და აფრიკაში.

საფრანგეთის რესპუბლიკის საბჭოში

პარიზი, 16 მარტი. (საკუთარი). დღეს გაიმართა რესპუბლიკის საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის სხდომა, რათა განეხილა კანონპროექტი პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის შესახებ. კომისიამ 19 ხმით ორის წინააღმდეგ (ცხრამ თავი შეიკავა) უარყო საარის შესახებ შეთანხმებათა ყოველგვარი შესწორება. წინადადება ამ შეთანხმებათა განხილვის გადადების შესახებ უარყვეს 22 ხმით ორის წინააღმდეგ (ექვსმა თავი შეიკავა). პენტონის მოხსენება, რომელიც ეხარს უჭერდა საარის შესახებ შეთანხმებათა რატიფიკაციას, კომისიამ მოიწონა 21 ხმით შვიდის წინააღმდეგ (ორმა თავი შეიკავა).

კომისიამ 20 ხმით ოთხის წინააღმდეგ (ექვსმა თავი შეიკავა) მოიწონა „სოციალური რესპუბლიკელის“ დებრეს მოხსენება, რომელიც მხარს უჭერდა იმას, რომ დამტკიცდეს პარიზის შეთანხმებანი „დასავლეთ ევროპის კავშირის“ შექმნის, დასავლეთ გერმანიისათვის ეგრეთწოდებული „სუვერენიტეტის“ მინიჭებისა და ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირში მისი მიღების შესახებ.

პარიზი, 16 მარტი. (საკუთარი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, რესპუბლიკის საბჭოს ეროვნული თავდაცვის კომისიამ უცვლელად 14 ხმით ცხრის წინააღმდეგ (სამმა თავი შეიკავა) დაამტკიცა კანონპროექტი პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის შესახებ.

პარიზი, 16 მარტი. (საკუთარი). ფრანს პრესის სააგენტოს ცნობით, რესპუბლიკის საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიამ 20 ხმით 4 ხმის წინააღმდეგ (ექვსმა თავი შეიკავა) შეუსწორებლად მოიწონა კანონპროექტი „პარიზის შეთანხმებათა“ რატიფიკაციის შესახებ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიური კომისიის X სესია

ჟენევა, 16 მარტი. (საკუთარი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების წარმომადგენლებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიური კომისიის X სესიაზე უარყოფითი პოზიცია დაიკავეს სსრ კავშირის რეზოლუციის პროექტის მიმართ, რომელიც შეიცავდა წინადადებას, რომ კომისიას მოეწვიოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის წარმომადგენელნი სესიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. სსრ კავშირის რეზოლუციის პროექტს კენჭი უყარეს და იგი უარყოფილ იქნა 13 ხმით ხუთის წინააღმდეგ. რეზოლუციის პროექტს ხმა მისცეს სსრ კავშირმა, უკრაინის სს რესპუბლიკამ, ბელორუსიის სს რესპუბლიკამ, ჩეხოსლოვაკიამ და პოლონეთმა (ალბანეთს, უნგრეთსა და რუმინეთს არა აქვთ ხმის უფლება კომისიაში).

გამოვიდა რა კენჭისყრის შედეგების გამოცხადების შემდეგ, სსრ კავშირის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კომისიის გადაწყვეტილება არ შეესაბამება ევროპის ყველა ქვეყანას შორის ეკონომიური თანამშრომლობის განმტკიცებისა და გაფართოების ინტერესებს და არ უწყობს ხელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიური კომისიის მუშაობის წარმატებას, აგრეთვე არ შეესაბამება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ინტერესებს.

დღეს კომისია შეუდგა სხვადასხვა კომიტეტის მოხსენებათა განხილვას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ეკონომიური კომისიის მრეწველობისა და ვაჭრობის კომიტეტის მე-7 სესიაზე

ტოკიო, 16 მარტი. (საკუთარი სპეც. კორ.). დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ეკონომიური კომისიის მრეწველობისა და ვაჭრობის კომიტეტი მუშაობას განაგრძობდა.

კომიტეტის სხდომაზე გამოვიდა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი ვოლკოვი, რომელმაც განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ეკონომიური კომისიის ეროვნული ეკონომიკის განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ამ ქვეყნებში უცხოეთის მონოპოლიებისაგან დამოუკიდებლად განვითარდეს მინერალური წედლეულის მომპოვებელი და გადამამუშავებელი ეროვნული მრეწველობა. ამასთან დაკავშირებით ვოლკოვმა დამსწრეთ მოაგონა, რომ საბჭოთა კავშირში ხორციელდება საჭირო მზადება აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებიდან სპეციალისტების მისაღებად, რომლებიც გაეცნობიან საბჭოთა სპეციალისტების გამოცდილებას ამ დარგში.

აზიისა და შორეული აღმოსავლეთის გეოლოგიური რუკის შედგენის საკითხის განხილვისას საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა განაცხადა: სამწუხაროა, რომ ამ მუშაობაში მონაწილეობას არ იღებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, რომლის ტერიტორიის უკავია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ეკონომიური კომისიის მოქმედების რაიონის მნიშვნელოვანი ნაწილი.

სასამართლო პროცესი გერმანიის კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ

ბერლინი, 17 მარტი. (საკუთარი). როგორც ადნ-ის სააგენტო იუწყება, გუშინ კარლსრუეს „ფედერალურ კონსტიტუციურ სასამართლოში“ განახლდა სასამართლო პროცესი გერმანიის კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ.

მუშათა სასადილოები

მშრომელთა საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის საქმეში დიდ როლს ასრულებენ საწარმო-დაწესებულებებთან არსებული სასადილოები. თბილისის ბევრ საწარმოსთან — მაუდ-კამვოლისა და სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატებთან, ამრეშუმის საქსოვ ფაბრიკასთან, სტალინის სახელობის ვაგონმშენებელ, ორჯონიკიძის სახელობისა და 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ, კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხნებთან და სხვ. მოწყობილია სასადილოები, სადაც მუშა-მოსამსახურეებს საშუალება აქვთ შესვენებისას მიიღონ ცხელი სადილები ყველა ცვლის მიხედვით.

საუკეთესოდ არის მოწყობილი თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს მუშათა სასადილო. იგი მოთავსებულია 3-ნათელ, ფართო დარბაზში, აქვს ორი ბუფეტი, რომლებიც დღედამის განმავლობაში მუშაობენ. აქ ერთდროულად შეიძლება ისადილოს 120 კაცმა. კარგად მოწყობილ სამმარეულოში მუშებისათვის ყოველდღიურად მზადდება 5 სახის პირველი, 10-15 სახის მეორე თავი საჭმელი. სასადილის სისტემატურად აქვს ძეხვეული, შებოლილი ხორცი, თევზეული, კონსერვები, რძის პროდუქტები, ჩაი, ყავა, ყავა, სხვადასხვა სახის ტკბილეული. მალფუჭებადი პროდუქტები ინახება მაცივრებში. ცალკე ოთახში მოწყობილია ხელსაბანები მუშებისათვის, ხოლო სამმარეულოს მუშაკებისათვის — შხაპი.

ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს მუშათა სასადილომ გასული წლის მესამე და მეოთხე კვარტალში კარგი მუშაობისათვის ფულადი ჯილდო მიიღო.

სურათზე: ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს მუშათა სასადილოში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

პროფკავშირული კადრების დასახმარებლად

საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან არსებული პროფკაბინეტი ხშირად აწყობს ლექციებს საერთაშორისო მდგომარეობის, პროფკავშირული მოძრაობის, სკკპ ისტორიის და თეორიის, პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების შესახებ, ლიტერატურის, ისტორიის და სხვა თემებზე. იგი ეხმარება რესპუბლიკურ პროფსაბჭოსთან არსებულ ლექტორთა ჯგუფს და მათს მსმენელებს საჭირო ლიტერატურის შერჩევაში. კაბინეტის ბიბლიოთეკა შეიცავს 8.000-ზე მეტ წიგნს.

მიმდინარე წლის იანვრიდან დაიწყო ლექციების ციკლის კითხვა ეკონომიურ საკითხებზე.

პროფკაბინეტი თავის მუშაობას არ საზღვრავს მარტო ქალაქის ფარგლებით. გასულ წელს რესპუბლიკის რაიონებში პროფკავშირული აქტივისათვის წაკითხულ იქნა 150 ლექცია და 9 მოხსენება. მიმდინარე წელს ნავარაუდევია 170 ლექციის წაკითხვა.

სპორტის ამბები

ბაკურიანის ბუნებრივი პირველობა კრივში

ჩვენი ქვეყნის გუნდური პირველობა კრივში გაიმართა მოსკოვში. აქ ერთმანეთს პირველობან ეცილებოდნენ 21 სასპორტო კოლექტივის ნაკრები და ახალგაზრდათა გუნდები.

კარგი ტექნიკური მომზადება აჩვენეს სასპორტო საზოგადოება „შრომითი რეზერვების“ მოკრივეებმა, რომლებმაც სძლიეს ძლიერ გუნდ-ტოქეებს და გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს.

„შრომითი რეზერვების“ მოკრივეთა კოლექტივმა მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება. გამარჯვებულებს გადაეცათ პრიზები.

ჩემპიონები ჭიდაობა სამგოლში

დამთავრდა თბილისის პირად-გუნდური ბიჭეველობის გათამაშება ჭიდაობა სამგოლში. გათამაშებაში მონაწილეობა მიიღეს ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოებების მეჭიდაურე კოლექტივებმა.

წონით კატეგორიის მიხედვით ჩემპიონებად გახდნენ: კ. ონასარიძე, ბ. მაზიაშვილი, ე. ქალაქელი, ქუსაშვილი, თ. ელერდაშვილი, ზ. დენტროშვილი, ზ. ჩიკვილაძე, ლ. კაციაშვილი და ზ. მუსაშვილი.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა აღნიშნა მოჭიდაურეთა კოლექტივმა.

სპორტის ოსტატები

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკურკულტურისა და სპორტის კომიტეტმა სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა სროლაში — თ. ხერხეულიძეს; ალპინიზმში — ა. ნეშსიწეურიძეს, ი. კახიანსა და ს. ცაბაძეს; თავისუფალ ჭიდაობაში — ბ. თუდეევს; კალათბურთში — ფ. შეპილოვს.

საქართველოს XVI ჩემპიონატი ჭადრაკში

16 მარტს თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გაიმართა ჭადრაკში საქართველოს 1955 წლის პირველობის გათამაშების მეშვიდე ტური.

ჩემპიონატის ლიდერმა ოსტატმა მ. შიშოვი ერთი გამარჯვება მოიპოვა. მან მოგება ახალგაზრდა მოჭადრაკეს თ. კალატოზიშვილთან. საინტერესო ბრძოლით ხასიათდებოდა საერთაშორისო ოსტატის ვ. გოგლიძისა და ბ. გურგენიძის პარტია. შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე ბ. რაგკინისა და ა. ბუსლაევის პარტია. ოსტატმა ა. ებრალიძემ მოუგო ზ. ჩაჩუას, ე. მიქაელიანმა — გ. კალატოზიშვილს, გ. მაჭავარიანმა — ი. ვაისმანს. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

შვიდი ტურის შემდეგ წინ არის ოსტატი მ. შიშოვი, რომელსაც 6 ქულა აქვს.

ამინდი

თბილისის ამინდის ბიუროს ცნობით 19-20 მარტს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია მნიშვნელოვანი მოღრუბლული დროგამოშვებით ნალექი. სუსტი ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 1-6, დღისით 8-13 გრადუსი სითბოს; მთიან რაიონებში ღამით 1 გრადუსი ყინვა — 4 გრადუსი სითბო, დღისით 2-7 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში ცვალებადი მოღრუბლულობა, ალაგ-ალაგ მცირე ნალექი. დასავლეთის სუსტი ზომიერამდე, მტკვრის ობაში დროგამოშვებით ძლიერამდე ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 1-6 გრადუსი ყინვა — 4 გრადუსი სითბო, დღისით 7-12 გრადუსი სითბოს; მთიან რაიონებში ღამით 1-6 გრადუსი ყინვა, დღისით 1-6 გრადუსი სითბო.

რედაქტორი ნ. ჯაფარიძე.

დღეს

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — მარინე (ახალი სპექტაკლი), რუსთაველის სახელობის — ესპანელი მღვდელი, მარჯანიშვილის სახელობის — მაია წყნეთელი, გრიბოედოვის სახელობის — პორტ-არტური (ახალი სპექტაკლი), სომხური დრამის — სხივმოსილი დილა, მოზარდ მაყურებელთა ქართული — ეს მოხდა მოსკოვში (აბონემენტი № 27, 7 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, პლეხანოვისა და ვორონილოვის სახელობის კლუბები — ვენის საყვარელი მსახიობი, სპარტაკი, თბილისი — ავარა (I და II სერია), კოლხიდა, ოფიცერთა სახლი — ციცი ზღვა, კოლმეურნე, ძერჟინსკის სახელობის კლუბი — ისინი ჩამოვიდნენ მთიდან, კომკავშირელი — შიშის საფასური (I და II სერია), ისანი — ზღვის მონადირე, 26 კომისრის სახელობის — ვენეციის ღამე, დიდუბე — ფანფან-ტულპანი, კიროვის სახელობის პარკი — თეთრი ფაფარი, კომუნარების ბაღი — საზიფათო ბილიკები.

**ДИСЕР